მესამე წელიწადი | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 22 მაისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 18

## ჟურნალის შინაარსი

ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი;** ჟენევის ეკონომიური კონფერენციის მთავარი მიზნები—**ალ. ხელაძე;** კვლავ სადარაჯოზე უნდა ვიდგეთ—**ს. ელიაძე;** სამხატვრო აკადემიის ხუთი წლის თავი—**ი;** კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება და მისი შედეგები—**ი. ნარსია;** შენიშვნები რკინისგზაზე—**ბებერი;** მომავალი საკურორტო სეზონი—**ალ. ლლონტი;** სახალხო ჯანმრთელობა საქართველოში—**გ—მანი;** ლექსი: ლენინს—**ნ. ზომლეთელი;** საქართველოს ახ. ლენინელთა კ. კავშირის მეორე კონფერენციის გამო—**ოფიეთელი;** საბჭოთა დემოკრეტიის გზით—**ა. ჩაჩუა;** კიდევ ახალგაზრდობაზე—**კ. კობახიძე;** წერილები პროვინციიდან.

# ორიენტაციის საკითხები

IX.

ერთობ დაგვიანებულად მოგვეცა შემთხვევა გავეცნობოდით ნოე რამიშვილის ბროშურას: **„საქართველო და რუსეთი“**, ერთობ დაგვიანებულად გვიხდება მასზე ლაპარაკი. მაგრამ როგორც რამიშვილზე, ისე მის ბროშურაზე ლაპარაკი არასოდეს არ უნდა ჩაითვალოს დაგვიანებულად.

ვინ არ იცნობს ჩვენში ნოე რამიშვილს, ვინ არ იცნობს მის უაღრესად ავანტიურისტულ ბუნებას, ვინ არ იცნობს მას, როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის ბოროტ სულს. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ის, რასაც ამ ბროშურაში ვეცნობით, რის იდეოლოგადაც ის აქ გამოდის, მაინც არ შეგვეძლო მისთვის დღემდე მიგვეწერა. თუ ეს ბროშურა ჩვენის თვალით არ გვენახა, ვერ დავიჯერებდით, რომ ეს თუმცა ყოველთვის უტაქტო, მაგრამ მაინც ოდესღაც თვალსაჩინო სოციალისტად ცნობილი ნ. რამიშვილი იმდენ უტაქტობასაც გამოიჩენდა, რომ ოსმალეთის ორიენტაციის მომხრეთ გამოვიდოდა და ქართველ ხალხს მიუთითებდა:—აი შენი მხსნელიო.

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ როცა ს. ს.-დ. პარტიის ლიდერები ქართველი ხალხის ბედს ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების სურვილებს უკავშირებენ, ისინი ობიექტიურად ოსმალეთის წისქვილზე ასხამენ წყალს. ვამბობდით: რომ მართლაც აუცხადდეს საქართველოს ნოე ჟორდანიას რჩევა: „არც აქეთ, არც იქეთ—პირდაპირ ევროპისაკენო!“—საქართველო ძველებურად შეიქნება ოსმალეთის ერთ-ერთ საფაშოთ, რომ ის ჩავარდება ისეთ პირობებში, როგორშიც მე-18 საუკუნის დასასრულამდე იყო მეთქი. ასეთი იყო ჩვენი დასკვნა. მაგრამ ასეთ დასკვნამდე ჩვენ მივდიოდით, ასე ვსთქვათ, ლოღიკურის გზით. ს. ს.-დ. ლიდერები ამ მიმართულებით მუშაობდენ, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობდენ. ისინი მალავდენ როგორც ქართველი ხალხის, ისე ევროპის პროლეტარიატის წინაშე თავის ასეთ ზრახვებს. ისინი „მაღალკულტუროსან, განათლებულ და დაწინაურებულ ევროპაზე“ ორიენტაციით ცდილობდენ ქართველი ხალხის თვალების ახვევას.

მაგრამ ნოე რამიშვილის ჩვეულებრივმა უტაქტობამ ერთხელ მაინც მოუტანა სარგებლობა ქართველ ხალხს, ერთხელ მაინც აუხილა მას თვალები და დაანახვა, თუ საითკენ ეპატიჟებიან მას, თუ რა ჰქვია იმ „განათლებულსა და მაღალკულტუროსან სახელმწიფოს, რომელზეც ორიენტაციას მას ურჩევენ.

მხოლოდ ნოე რამიშვილმა ახადა ამ საკითხს საიდუმლოების ფარდა, მხოლოდ მან გაბედა ნიღაბის ახდა და თავისი ნამდვილი სახით გამოსვლა ქვეყნისა და ხალხის წინაშე... და ამისათვის დიდი მადლობის ღირსია იგი.

გავეცნოთ მოქ. რამიშვილის ბროშურას.

რამიშვილი ჩინებულად გრძნობს, რომ მისი მისია ოსმალეთის ორიენტაციის შესახებ განწირულია. ამიტომ უპირველეს ყოვლისა, ის ცდილობს ქართველი ხალხის თვალში ოსმალეთის გათეთრებას. ის გვეუბნება: ოსმალეთი დღეს ის კი არ არის, რაც უწინ იყო. მართალია, იგი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სისხლიდან ცლიდა ქართველ ხალხს, არბევდა და აოხრებდა მის სამშობლოს... მაგრამ დღეს ოსმალეთი მოჭკვიანებულია. ამიტომ საქართველო უნდა ჩამოშორდეს რუსეთს და ამ მოჭკვიანებულ ოსმალეთს თავი შეაფაროსო.

აი მთელი შინაარსი ამ ბროშურისა.

ჩვენს ყოფილ ამხანაგებში ნ. რამიშვილი ყოველთვის ცნობილი იყო რუსეთის შეურიგებელი მტრობით. მაგრამ ევროპაში ხეტიალის დროს ეს სიძულვილი მას ერთი ათად გაზრდია. დღეს ის მზად არის თვით ჯოჯოხეთსაც კი შეურიგდეს, მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ,—მარტო ბოლშევიკების წინააღმდეგ კი არა, რუსეთის წინააღმდეგ!—კი გამოიყენოს იგი. ის მზად არის მთარიგოს მოურიგებელი, შეათვისოს შეუთვისებელი, მზად არის საქართველო გადააქციოს ოსმალეთის ერთ-ერთ საფაშოთ, მზად არის შეუქმნას ქართველ ხალხს ისეთი პირობები, რომელშიაც ჩვენი თაობის თვალწინ განუტევა სული ოსმალეთში მ...

ზინადრე სომხეთის ხალხმა... მხოლოდ რუსეთი კი ნუ იქნება, მხოლოდ ის იქნეს განდევნილი საქართველოდან და კავკასიიდან.

ამ მიზნის განსახორციელებლად რამიშვილი ამართლებს ოსმალეთს, ცოდვების მისატევებელ ინდულგენციას აძლევს მას, უცხადებს საუკუნეთა განმავლობაში ჩადენილ უდიდესი ბოროტების მიტევებას.

ვალაპარაკოთ თვითონ რამიშვილი.

„თანამედროვე ოსმალეთში პანისლამისთურ-იმპერიალისტურ პოლიტიკას ნიადაგი ეცლება. მისი საგარეო პოლიტიკა მეზობლებთან თანამშრომლობას მოითხოვს და მშვიდობიან ურთიერთობას გულისხმობს... ოსმალეთში პაციფისტური პოლიტიკა იმარჯვებს“.

და რაკი ეს ასეა, რაკი „მელა ტაძარში შესულა, მარხულობს და არის მლოცველი“, რამ უნდა დაუშალოს საქართველოს ოსმალეთთან შეერთება, მისი ორიენტაციის ძიება?

რატომ უნდა მოიქცეს ასე საქართველო? რა ინტერესები უკარნახებენ მას ასეთი ნაბიჯის გადადგმას?

„ჩვენი ინტერესია რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის შემუსრვა საქართველოში და მისი დამოუკიდებლობის აღდგენა“-ო,—გვიპასუხებს რამიშვილი.

რაკი ქართველ ხალხს დაუმტკიცა ოსმალეთზე ორიენტაციის აუცილებლობა, ახლა იგი ცდილობს თვითონ ოსმალეთს დაუმტკიცოს საქართველოსთან კავშირის აუცილებლობა.

„ოსმალეთის მშვიდობიანი განვითარება მოითხოვს რუსეთის საზღვრებისაგან თავის დაღწევას. მხოლოდ ამ პირობებში შეუძლია მას (ოსმალეთს) შინაურ რეფორმათა განხორციელება და თავისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იმპერიალისტთა თავდასხმისაგან. ამ ნიადაგზე ინასკვება მომავალი ოსმალეთისა და თავისუფლების მოტრფიალე კავკასიის ერთა შორის ინტერესთა თანხმობა“ (იხ. „საქართველო და რუსეთი“, გვ. 7—8).

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ნ. რამიშვილს საქართველოსათვის უფრო ხელსაყრელად მიაჩნია შედარებით სუსტი ოსმალეთის ხელში დიდი და ძლიერი რუსეთის წინააღმდეგ მიშვერილი ბუფერის, ესე იგი ოსმალეთის დამცველი ფარის როლი, ვიდრე თვით ამ ძლიერ რუსეთთა და საერთოდ საბჭოთა კავშირში სრულუფლებიან თანასწორ კავშირში ყოფნა.

ვის ინტერესებს ემსახურება ნოე რამიშვილი ამ შემთხვევაში? საქართველოსას? არა. იგი აშკარად ემსახურება ოსმალეთის ინტერესებს.

ამას ცხადათ დაგვანახვებს ნოე რამიშვილის ზემოთმოყვანილი დებულების ანალიზი.

ვიფიქროთ, რომ ნ. რამიშვილის ინდულგენციით დაჯილდოებულმა ოსმალეთმა დაუჯერა ამ ახლად მო[illegible]ნებულ პაპს, გამოვიდა რუსეთის წინააღმდეგ და რაღაც სასყიდლით დააყენა საქართველოს თავის ორბიტაში... რა თქმა უნდა, ეს ჩინებული იქნება ოსმალეთისათვის, რომელსაც მართლაც ექნება ბუფერი რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ როგორი იქნება თვით ამ ბუფერი—საქართველოს მდგომარეობა?

დავუშვათ ერთის წუთით, რომ ქართველმა ხალხმა დაუჯერა თავის ბოროტ სულს, ნოე რამიშვილს; დავუშვათ, რომ მან უღალატა საბჭოთა კავშირს, ან რამიშვილის ტერმინოლოგიით: რუსეთს, გადაიკიდა ეს უკანასკნელი მოსისხლე მტრად და მიემხრო ოსმალეთს. როგორი იქნება ამ შემთხვევაში საქართველოს მდგომარეობა? იდეალურ შემთხვევაში, ესე-იგი იმ შემთხვევაში, თუ მას რუსეთი აპატიებს ასეთ მოღალატეობას,—საქართველო იქნება რუსეთისა და ოსმალეთს შორის ბუფერის როლში. ის მუდამ გრდემლსა და ჩაქუჩის შუა იქნება. სამაგიეროდ ჩინებულ პირობებში იქნება ოსმალეთი: ის თავიდან მოიშორებს დიდი რუსეთის საშიშროებას, რომელსაც პირში მისცემს მოღალატე და ვერაგ საქართველოს რესპუბლიკას.

აქედან ცხადია, რომ ნოე რამიშვილი გამოდის ოსმალეთის ინტერესების დამცველად, რომ მას ოსმალეთის ნაციონალური ინტერესების სამსხვერპლოზე მიაქვს საქართველოცა და ქართველი ხალხის ინტერესები.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა სრულუფლებიანი წევრია საბჭოთა უდიდესი კავშირისა; მას დღეს ანგარიშს უწევს მთელი ქვეყანა და ეს იმიტომ კი არა, რომ ნოე რამიშვილი და ძმანი მისნი ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების კარზე დაეხეტებიან, არამედ იმიტომ, რომ იგი, საქართველო, სრულუფლებიანი წევრია დიდი და ძლიერი კავშირისა... ნოე რამიშვილი კი ასეთ საქართველოს ურჩევს: გამოდი მაგ კავშირიდან, ჩაეცი მას ზურგში მახვილი, მიიღე სათათრეთის ორიენტაცია და დაკმაყოფილდი მისი ფარისა და ბუფერის როლითო...

რატომ, მოქ. რამიშვილო? იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ოსმალეთის სასიცოცხლო ინტერესები?

ოსმალეთს დაღუპვას უქადის დიდი და ძლიერი რუსეთის უშუალო მეზობლობა; მისი დაღუპვის პროცესი იმ დროიდან დაწყებულა, როცა საქართველოს სახელმწიფო მოისპო და ის, ოსმალეთი, რუსეთს უშუალოდ დაუმეზობლდა. ამიტომ, თუ ოსმალეთს სურს ნორმალურად განვითარდეს, თუ მას უნდა მოსვენებულად იცხოვროს, უნდა მოშორდეს რუსეთს, უნდა გაიჩინოს მხსნელად და ფარად რუსეთის მხარეზე ვინმე სხვა სახელმწიფო, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უფრო მოხერხებულია საქართველო, რომელიც ითამაშებს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუფერის როლს და ამით ოსმალეთი თავიდან აიშორებს რუსეთის საშიშროებას.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ როგორი იქნება ამ შემთხვევაში საქართველოს მდგომარეობა? ვინ უნდა იყოს საქართველოსა და, რამიშვილის რჩევით, მაზე მტრად გადაკიდებულ საშიშარ რუსეთს შორის? ვინ უნდა ააშოროს რუსეთის რისხვა საქართველოს? ვინ უნდა ითამაშოს მისთვის ბუფერის როლი? თუ საქართველოსთან შედარებით ათჯერ უფრო დიდსა და ძლიერ ოსმალეთს კი ესაჭიროება უზარმაზარი რუსეთის წინააღმდეგ ფარი, ასეთი ფარი უფრო საჭირო არ იქნება იმავე რუსეთის წინააღმდეგ საქართველოსათვის?

ნოე რამიშვილი ამაზე სულაც არ ფიქრობს. მან მხოლოდ წყალი აამღვრიოს, მხოლოდ ქართველ ხალხში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის იდეია დაბადოს, მან მხოლოდ ერთხელ კიდევ გაინავარდოს ჩვენში თავისი საგანგებო რაზმებით და მერე თუნდაც ქვა ქვაზედაც ნუ დარჩება საქართველოში.

ყველაზე უფრო ჩამორჩენილი სახელმწიფო ოსმალეთის რეაბილიტაციის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ ნ. რამიშვილი უფრო დიდსა და ძლიერ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გუნდრუკს უკმევს. ამერიკასა და ინგლისს იგი დემოკრატიის დამცველად და დამონებულ ერების განმანთავისუფლებლად აცხადებს.

„ამერიკა და ინგლისი განიარაღებას ესარჩლებიან. ეს დემოკრატიის ინტერესია და მოასწავებს ერთი მხრით სახელმწიფოს ფარგლებში რეაქციის შემუსვრას, კომუნისტურ-ფაშისტურ ელემენტების ალაგმვას, ხოლო მეორეს მხრით — დამონებულ ერთა განთავისუფლებას“ (იქვე. გვ. 45).

დემოკრატიის ინტერესების დაცვა! დამონებულ ერთა განთავისუფლება!—აი რა ღირსებებს აწერს ნოე რამიშვილი ამერიკასა და ინგლისს. თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩინეთის ხალხის ჯალათებს ეს ბრძენი პოლიტიკოსი „დაჩოხებულ ერთა განმათავისუფლებლებს“ ეძახის!

ამაზე მეტი დაცემა, ამაზე მეტი ზნეობრივი და პოლიტიკური გათახსირება კიდევ შეიძლება?!

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ მთელი მსოფლიო ორ ერთი-მეორეს მოსისხლე მტერთა ბანაკად არის გაყოფილი. ერთში თავმოყრილია მთელი ქვეყნის იმპერიალისტები, მეორეში—მათი მესაფლავე—მთელი ქვეყნის პროლეტარიატი და ყველა რევოლიუციონურად განწყობილი კლასები საბჭოთა დიდი კავშირის მეთაურობით. ერთ ბა-

ნაკშია ჩინეთის, ინდოეთის, აფრიკის და სხვა ქვეყნების თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები, მეორეში—ყაჩაღი იმპერიალისტები: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვები...

დღეს ამას პოლიტიკურად ბრმაც კი ხედავს. ამას ხედავს ოდესღაც რევოლიუციონერი, ოდესღაც სოციალისტი ნოე რამიშვილიც. მერე ვის მხარეზეა იგი? ვისთან იბრძვის? ვის ებრძვის?

ნ. რამიშვილი დღეს იმპერიალისტების ბანაკშია. ის მათთან ერთად, მათი ინტერესებისათვის იბრძვის. ის ებრძვის სოციალისტურ სამყაროს, ებრძვის დაჩაგრულ, რევოლიუციის ალში გახვეულს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს, ებრძვის პროლეტარიატის ინტერესებს.

აბა მოვუსმინოთ თვითონ რამიშვილს:

„ერთ მხარეზეა ამერიკა და ევროპა, ხოლო მეორეზე—რუსეთი. პირველს მხარს უჭერს სოციალისტური, სინდიკალისტური და კოოპერატიული ინტერნაციონალი: საბჭოთა რუსეთი გარიყულია“.

აქაც ასეთ სანაქებო გულუბრყვილობას იჩენს მოქ. რამიშვილი. მაგრამ არა გვგონია, რომ მას ასეთ გულუბრყვილობისათვის მადლობა უთხრან აქ მის მიერ დასახელებულმა „სოციალისტურმა“ ორგანიზაციებმა. ისინი, მართალია, ხშირად უჭერენ მხარს მსოფლიო იმპერიალისტებს რევოლიუციასთან ბრძოლაში, ისინი საქმით ხშირად ღალატობენ მსოფლიო პროლეტარიატსაც და თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს, მაგრამ ისინი ამას სრულიად კონფიდენციალურად სჩადიან, ამას ისინი არასოდეს არ ამხელენ. მოქ. რამიშვილი კი გამოსულა და საქვეყნოთ ჰყვირის:—სოციალისტური, სინდიკალური და კოოპერატიული ინტერნაციონალი ჩემთან ერთად უჭერს მხარს ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტებსო.

მოდით და ამის შემდეგ ნუ იტყვით: დუშკა რამიშვილი!

მართლაც რითი ჩამოუვარდება ეს ბრძენი პოლიტიკოსი იმ ბავშვს, რომელიც სტუმრებს გულახდილად უამბობს:—დღეს დედას ოფიცერმა აკოცაო?

ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროში დიდი მადლობის ღირსია ნოე რამიშვილი ასეთი გულუბრყვილობისათვის.

ამ გულახდილი აღსარების შემდეგ ნ. რამიშვილი გადადის ეკონომიკის მნიშვნელობაზე და შემდეგი ლექციით მასპინძლობს ქართველ ხალხს:

„ეკონომიკა პოლიტიკისა და მასთან ერთად იდეოლოგიის საფუძველია. დაეცემა რომელიმე ერის ეკონომიური საქმიანობა, ასეთივე ბედი მოელის მის პოლიტიკურ საქმიანობასაც. განვითარდება ეკონომიკა, ეს აუცილებლად გამოიწვევს პოლიტიკური მაჯისცემის გაცოცხლებას“ (იქვე. 12—13 გვ.).

რომ ნივთიერი ურთიერთობა საფუძველია პოლიტიკური, იურიდიული და ყველა სხვაგვარი ურთიერთობისა, ეს ქართველმა მარქსისტებმა იცოდენ მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ სვიდერსკის „შრომა და კაპიტალი“-ც არ წაეკითხათ. დღეს ეს იციან ჩვენმა პაწია პიონერებმა და მოქ. რამიშვილი ტყუილად დაშვრალა ამ უბრალო ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. მით უფრო დაგვიანებულია რამიშვილის ასეთი „გამოკვლევა“ საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში, სადაც ეს ყველა მარქსისტისათვის აშკარა დებულება უკვე გასცილდა თეორიის სფეროებს, გადავიდა პრაქტიკის სფეროებში და სრულიად რეალური სახე მიიღო...

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა საბჭოთა კავშირის „იმპერიალიზმზე“.

მოქ. რამიშვილს საბჭოთა რუსეთი (რამიშვილი არა სცნობს **კავშირს; მან მარტო რუსეთი** იცის) იმპერიალიზმის სრულ განხორციელებად მიაჩნია.

მერე მართალია მისი ასეთი დებულება?

რა ახასიათებს იმპერიალისტურ სახელმწიფოს? რა შეადგენს მის შინაარსს? მის სულსა და გულს?

იმპერიალისტურ სახელმწიფოს ყველაზე უფრო ის ახასიათებს, რომ ის ცდილობს პატარა ერებსა და სახელმწიფოებს ხელიდან გამოაცალოს მათი ბუნებრივი სიმდიდრე, წაართვას მათ ნედლი მასალა, დაამუშაოს იგი ცენტრში და ეს დამონებული სახელმწიფოები გადააქციოს თავისი ფაბრიკატების გასაღებელ ბაზრად. იმპერიალისტურ სახელმწიფოს ყველაზე უფრო ახასიათებს ის, რომ იგი პერიფერიებს ართმევს დამოუკიდებელი არსებობისათვის საჭირო სახსარს და აყენებს მათ ისეთ პირობებში, რომ ცენტრის უმისოთ, მის დაუხმარებლად, მათ ერთ დღესაც არ შეუძლიათ არსებობა. იმპერიალისტური სახელმწიფო ცენტრისაკენ მიეზიდება პერიფერიების მთელ სიმდიდრეს და უგზავნის მათ დამზადებულ ფაბრიკატებს. ასე იქცეოდა ჩვენში იმპერიალისტური რუსეთი, ასე იქცევიან ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოები მთელ მსოფლიოში.

ასეთია ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოების ეკონომიური პოლიტიკა.

თუ საბჭოთა რუსეთი ასეთ ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებს, რა თქმა უნდა, იგი იმპერიალისტური სახელმწიფო ყოფილა.

მაგრამ, თუ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, საბჭოთა კავშირში სრულიად წინააღმდეგ მოვლენას დავინახავთ. საბჭოთა ხელისუფლების ერთად-ერთ საზრუნავს ჩვენში დღეს შეადგენს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეკონომიური აღორძინება და გამაგრება.

ელექტროფიკაცია, მიწების მორწყვა, ჭაობებისა და ტბების ამოშრობა, ახალი გზების გაყვანა, ძველების აღდგენა, ჩაისა და მევენახეობის აყვავება, ნავთისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრის მონახვა და გამოყენებაზე ზრუნვა... რა არის ყოველი ეს, თუ არა სრული წინააღმდეგობა იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური პოლიტიკისა? რა არის ყოველი ეს, თუ არა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ქვაკუთხედი, თუ არა ქართველი ხალხის სუვერენობის საფუძვლების აღდგენა და გამაგრება?

რამიშვილი ქართველ ხალხს ასწავლის:—„პოლიტიკა უეკონომიოთ შეუძლებელიაო“. სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენ ეს ჩვენივე თვალებით დავინახეთ. ჩვენ ეს თვითონ განვიცადეთ. დემოკრატიული საქართველოს არსებობის დროს ჩვენ გვქონდა პოლიტიკა, გვქონდა საკუთარი ხელისუფლება თავისი ყოველნაირი ატრიბუტებით... მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, ჩვენ არ აღმოგვაჩნდა ეკონომიკა, არ აღმოგვაჩნდა ხერხემალი, არ აღმოგვაჩნდა დამოუკიდებლობის ეკონომიური საფუძვლები და უამისოდ კი სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელი შეიქნა

ნოე რამიშვილს, ალბათ, კარგად ახსოვს დღევანდელი მისი მეგობრები მუსავატელების „კეთილმეზობლური“ განწყობილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, რომელსაც არა თუ ნავთი არ მიჰყიდეს, ნავთისათვის გაგზავნილი ცისტერნებისა და ლოკომოტივების მთელი შემადგენლობა წაართვეს. აჯამეთის ტყეში მოჭრილი რამდენიმე ასი საჟენი შეშა ჩვენი რკინის გზებისათვის ზღვაში გადაგდებული წვეთი გამოდგა. ჩვენი ნახშირი მეტად მდარე ღირსების იყო... და ტრანსპორტი დაგვეხგრა. უამისოთ კი სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა, თუნდაც ეს სახელმწიფო ყველა სახელმწიფოების მიერ de-iure-დაც იყოს ცნობილი, შეუძლებელი გამოდგა. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა თავზე დაგვენგრა...

დღეს რას ვხედავთ? დღეს საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტები, რომლებისთვის რამიშვილებს „მოსკოვის აგენტების“ მეტი სახელი ვერ მოუნახავთ, ჰქმნიან საქართველოს ნივთიერ ურთიერთობას, რაც რამიშვილისთვისაც კი ხალხის პოლიტიკური, იურიდიულ და ყველა სხვაგვარი ურთიერთობის საფუძველს შეადგენს.

დღეს საბჭოთა საქართველო სრულიადაც არ ფიქრობს სხვისი იმედებით ცხოვრებას. ის თავის წიაღშივე ეძებს ნავთს და შორს არ არის ის დღე, როცა კახეთისა და გურიის ნავთი მეტოქეობას გაუწევს აზერბეიჯანის ნავთს.

კიდევ მეტი: საბჭოთა საქართველოს სულ მალე უნავთოდაც შეეძლება იცხოვროს. ელექტროფიკაცია, რაც დღეს უკვე ფაქტია, მას აძლევს ასი ათასზე მეტ ცხენის მუშაძალას. (ზაჰესი—38.000, რიონის ელსადგური—60.000, აჭარის-წყალის ელსადგური—7.500 და აბაშის—2.000). ჩვენი რკინის გზა, განსაკუთრებით სურამის რაიონი, უკვე გადადის ნავთიდან ელექტრონის ძალაზე.

საბჭოთა საქართველო სულ მალე კმაყოფილი იქნება თავისი საკუთარი პურით... უდიდესი მუშაობა სწარმოებს ჩვენში მიწების მორწყვის საქმეში. ალაზნის ველი, რომლის მორწყვა შეადგენდა ილია ჭავჭავაძის ნატვრის საგანს, სულ მალე მორწყული იქნება; ტირიფონის ველის, ამ საქართველოს პურის ბეღელის, მორწყვის საქმე უკვე დამთავრებულია. ენერგიული მუშაობა სწარმოებს სამგორის ველის სარწყავი არხის გაყვანაზე, რომელმაც უნდა მოგვირწყას 50.000 დესეტინა მიწა. ჩქარის ტემპით სწარმოებს ფაბრიკებისა და ქარხნების შექმნის საქმე ჩვენში და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ თვითონ დავამუშავებთ ჩვენს საკუთარ ნედლ მასალას და ჩვენი ხალხის მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება ჩვენი საკუთარი ფაბრიკატებით...

საკუთარი სათბობი მასალა, საკუთარი ქარხნები და ფაბრიკები, საკუთარი ფართალი,საკუთარი პური!—ნუ თუ ყოველი ეს არ შეადგენს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დამოუკიდებლობის პოლიტიკურსა და იურიდიულ საფუძვლებს?

ვინ ჰქმნის ამას? საბჭოთა ხელისუფლება იმ საბჭოთა კავშირის დახმარებით, რომელსაც ნ. რამიშვილები იმპერიალიზმის განხორციელებათ გვიხატავენ... და ამის შემდეგ ნ. რამიშვილს კიდევ შესწევს გამბედაობა განაცხადოს:—„რუსეთისა და საქართველოს ეკონომიური განვითარება ერთი-მეორეს დაშორდა და საქართველომ ევროპისაკენ გაიკაფა გზაო“.

ნ. რამიშვილი არავითარ ანგარიშს არ უწევს საქართველოს სინამდვილეს. ის ისევ ძველებურად ასავსავებს ხელებს: ვიჯმნი რუსეთისაგანო, და ქართველ ხალხს ოსმალეთისაკენ ეპატიჟება, თუმცა მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ოსმალეთისა და საქართველოს მორიგება ისე შეიძლება, როგორც მგლისა და ცხვრის მორიგება. მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ოსმალეთის ორბიტაში ყოფნა საქართველოს ჩააყენებს ისეთსავე პირობებში, როგორშიაც ის იყო მე-18 საუკუნეში. რამიშვილმა ყველაფერი ეს იცის, მაგრამ რა ენაღვლება? მან მხოლოდ თავისი ავანტიურული მიზნები განახორციელოს, ერთხელ კიდევ მოევლინოს საქართველოს დიქტატორის როლში და „ქვეყანა და ქვეყნის საქმე იმას ფეხებზე ჰკიდია“.

საქართველო, ქართველი მშრომელი ხალხი, ძარღვებ დაჭიმული ჩაქუჩით, ბარითა და წერაქვით ხელში ეწევა სახელმწიფო აღმშენებლობას, აშენებს თავის საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ნოე რამიშვილი კი გამოსულა და აჯანყებისაკენ, ახალი ავანტიურისაკენ მოუწოდებს ხალხს.

„ჩვენ დღითი-დღე ვუახლოვდებით მოძალადე ოკუპანტთა ბატონობის შემუსრვას საქართველოში“,—ეუბნება იგი ქართველ ხალხს.

— რა გზით? როგორ? სად არის ის ძალა, რომელმაც ასეთი რამე უნდა შესძლოს?—ეკითხებით თქვენ ქართველი ხალხის ამ ბოროტ სულს.

„ეს თვით ქართველი ხალხის, საქართველოს მუშათა და გლეხთა საქმეა... ჩვენ სრული იმედით შევსცქერით მომავალს, დარწმუნებული, რომ **ქართველი ერი ისარგებლებს შესაფერი მომენტით დამოუკიდებლობის აღსადგენად და გასამტკიცებლად**“ (ხაზი ჩვენია)..

ასე და ამრიგად ნ. რამიშვილი ურჩევს ქართველ ხალხს ახალი ავანტიურის განმეორებას. ის მას ურჩევს: თავი გაანებე საკუთარი სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს, გამოდი საბჭოთა კავშირიდან, დანა ჩაეცი მას ზურგში და ოსმალეთს მიეკედლეო.

მერე არ იკითხავთ, რა ჯილდოს ჰპირდება რამიშვილი ქართველ ხალხს, თუ მან ამ ბოროტი სულის რჩევა დაიჯერა? ის მას ჰპირდება: „თავისუფლებისა და მშვიდობიანობის მოსარჩლე კაცობრიობის სრული თანაგრძნობა შენს მხარეზე იქნებაო“.

სამწუხაროდ, ქართულ სიტყვაში ჩვენ არ გვეგულება ისეთი ტერმინი, რომლითაც რამიშვილის დაფასება შეიძლებოდეს.

დეე, თვით ქართველმა ხალხმა უწოდოს მას შესაფერი სახელი!

ႷႠႰႨႡႨ.

# ႿႤႬႤႥႨႱ ႤႩႭႬႭႫ. ႩႭႬႴႤႰႤႬႺႨႨႱ ႫႧႠႥႠႰႨ ႫႨႦႬႤႡႨ

ჟენევის ეკონომიურ კონფერენციაზე, როგორც ვიცით, თავი მოიყარა ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა. იქ თათბირს ესწრება და მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის დელეგაცია.

რისთვის არის მოწოდებული ეს კონფერენცია? რა მიზნებს ისახავს იგი? მისი მიზანია გამონახოს ისეთი საშუალებანი, რომელიც მოაწესრიგებს **ბაზრის და ნედლი მასალის საკითხს**,—ე. ი. გადასწყვეტს კაპიტალისტური ეკონომიკის იმ რთულ პრობლემას, რისი გადაწყვეტა და მოგვარება ძირითადათ ეწინააღმდეგება კაპიტალისტური მეურნეობის ანარქიულ ბუნებას.

კაპიტალისტურ ეკონომიკის სისტემა დამყარებულია ინდივიდუალურ სამეურნეო პრინციპზე. აქ წარმოება ემორჩილება კონკურენციის სტიქიურ კანონს. და არ, თანამედროვე ფინანსიური კაპიტალი და მისი საგარეო პოლიტიკური გამოხატულება— იმპერიალიზმი თავის ეკონომიურ პოლიტიკას წარმართავს სწორედ ამ გეზით; ე. ი. „ნაციონალური“ მრეწველობისთვის აუცილებლად საჭირო ნედლს მასალას, თუ იგი მას არ მოეპოვება თავისი საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში, ის ცდილობს მიიღოს სხვა სახელმწიფოს სამოქმედო რაიონში და ძალით ჩაიგდოს იგი ხელში.

მეორეს მხრით, ასევე დგას საქონლის გასაღების ბაზრის საკითხიც. როცა „ნაციონალური“ ბაზარი ვერ იტევს ნაციონალური მრეწველობის პროდუქციას, იგი გადატანილი უნდა იქნეს სხვა სახელმწიფოს ბაზარზე. ხოლო ამ პროდუქციის გასაღება და ნედლეულობის შოვნა არ ხდება ურთიერთ შორის შეთანხმებით და მშვიდობიანი გზით. ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი პროდუქცია დაამზადოს, ესე იგი მეტი ნედლი მასალა იშოვნოს, მეტი დაამზადოს და მეტი გაასაღოს, ესე იგი ყველა სხვებზე უფრო ფართო ბაზარი იშოვნოს და სხვებზე მეტი ღირებულება მიიღოს.

ასეთ წინააღმდეგობაშია მომწყვდეული ბურჟუაზიული სამყაროს ეკონომიური საფუძველი. ეს წინააღმდეგობა ნახულობს თავის გამოხატულებას ამ სახელმწიფოების შეიარაღებულ კონფლიქტებში. გასული მსოფლიო იმპერიალისტური ომი ამის უტყუარი მაგალითია. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ომის ცეცხლში გაახვიეს მთელი კაპიტალისტური მსოფლიო, გაანადგურეს მთელი რიგი თაობათა მოგროვილი ავლა-დიდება და ყოველივე ეს მოიქმედეს არა რაღაც განყენებული მცნება-სიმართლისა და ჭეშმარიტების გულისთვის, არა მცირე ერების განთავისუფლებისათვის, არამედ ახალი ბაზრების ხელში ჩასაგდებათ, სადაც თავის ნაწარმოების მონოპოლიურად გასაღებას შესძლებდა ომში გამარჯვებული იმპერიალიზმი.

დღესაც ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, დღესაც სხვადასხვა ფრონტზე დაჯგუფებული და ერთმანეთის საწინააღმდეგოთ დარაზმული იმპერიალისტური ბურჟუაზია, საომარ მოქმედების სამზადისშია; ის თავიდან ფეხე-

ბამდის იარაღში ზის და იმავე დროს კონფერენციებსაც მართავს, ვითომ მშვიდობიანობის დამყარებას ცდილობს. მაგრამ მას თვითონაც არ სჯერა პრაქტიკული შედეგები ამ კონფერენციისა,, ის მას აწყობს მხოლოდ საზოგადოებრივ აზრის თავისი სასარგებლოდ მისამართად, ის ცდილობს, რომ ქვეყანას დაანახოს თავისი მშვიდობის მოყვარეობა... აი ამის უტყუარი მაგალითი: საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენელი ლუშერი, არკვევს რა იმ კრიტიკულ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ეს წარმოება, დაასკვნის:—„უნდა თანდათანობით მოწესრიგდეს სადამოჟნო საკითხები, საბოლოო ანგარიშით უნდა გაუქმდეს დამოჟნებიო“. და იმავე დროს იგივე ლუშერი დიდ იმედებს ამყარებს მწარმოებელთა კარტელებზე, რომლებიც შესძლებენ წარმოების მოწესრიგებას, შეასუსტებენ კონკურენციას და შეიტანენ სისტემას ყოველგვარი პროდუქციის გასაღების საქმეში.

ვიფიქროთ, რომ ლუშერის ეს პროექტი განხორციელდა. რა მოყვება ამას? ყველა ის აგრარული ქვეყნები, რომლებიც უკვე დაადგენ ინდუსტრიალიზაციის გზას, უნდა შეჩერდეს. მათი განვითარება ამ მხრივ შეუძლებელი იქნება. მეორეს მხრივ—„ერთი ინტერესით“ გაერთიანებულ, მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებული სამრეწველო კარტელბი და სააქციონერო საზოგადოებები, ისე მიყიდიან თავის ნაწარმოებს ჩამორჩენილ ქვეყნებს, როგორც მათ მოესურვებათ, და ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხ. ოსინსკიმ თავის საპროგრამო სიტყვაში წამოაყენა რამდენიმე დებულება, რომლებიც სრულიად უმწეო მდგომარეობაში აყენებენ ბურჟუაზიის დამცველ ეკონომისტებს და პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამხ. ოსინსკიმ განაცხადა: „მსოფლიო მეურნეობა განიცდის ღრმა კრიზისს და რომ აქედან შევსძლოთ თავის დაღწევა, ჩემი კონკრეტიული წინადადება იქნება შემდეგი:—1) მოსპობა სამხედრო ვალებისა და ყველა იმ გადასახადებისა, რაც დაკავშირებულია ამ ვალებთან; 2) ხელფასის მომატება წარმოების მუშებისათვის; 3) 8 საათის სამუშაო დღის აღდგენა, შახტებში 6 საათის სამუშაო დღის შემოღება; 4) მოსპობა პროტექტორატისა და მანდატების სისტემისა; 5) კოლონიალური ქვეყნებისთვის თავისუფლების მინიჭება, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურ სფეროში და სხვ.

საერთაშორისო სამხედრო ვალები — ეს ის თანხაა, რომლის გადახდა არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია და თვით ბურჟუაზიული ეკონომისტებიც კი არა ერთხელ მოითხოვდენ ამ ვალების გაუქმებას. მაგრამ, მის გაუქმებას, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება კრედიტორი ამერიკა და ის ყოველთვის ენერგიულათ მოითხოვს ამ ვალების განაღდებას. რომ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმაზე, თუ როგორ მდგომარეობაშია ვალების საკითხი, თუ როგორი მძიმე და რთულია ვალების მოწესრიგების პრობლემა, თუ რა მძიმე უღლად აწევს ყველა სახელმწიფოებს ეს დავალიანება,—თვალი გადავავლოთ სხვადასხვა სახელმწიფოების დაავლიანების სურათს:

ამერიკას ომის დროს ევროპაზე გასესხებული აქვს 25 მილიარდი მანეთი. აქედან 9 ნახევარი მილიარდი ინგლისზეა, თითქმის ამოდენივე თანხა საფრანგეთზე; 4 ნახევარი მილიარდი მანეთი იტალიაზე; 1 მილიარდი მანეთი ბელგიაზე; ყოფილი მეფის რუსეთზე ნახევარ მილიარდი მან. ამავე დროს შეერთებულმა შტატებმა ზოგიერთ წვრილ სახელმწიფოებისადმი, როგორიც არიან: ბელგია, პოლონეთი, ფინლიანდია. დანია, უნგრეთი და ლიტვა, ერთგვარი „სულგრძელობაც“ გამოიჩინა ვალების ანაზღაურების საკითხში. ასეთ „სულგრძელობას“ ის არ იჩენს დიდი სახელმწიფოების მიმართ. დღემდე მხოლოდ ინგლისთან შესძლო მან ამ საკითხის ასე თუ ისე მოწესრიგება. იტალია - ამერიკის შეთანხმება ვალების საკითხში ჯერაც არ არის სავსებით დათავებული. რაც შეეხება საფრანგეთს მან ვერ მოაწესრიგა ეს საქმე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ დროებითი შეთანხმებას, რომელიც დასდო კაიომ შეერთებულ შტატებთან, და რომელიც სრულებით ვერ აწესრიგებს ამ ორ სახელმწიფოთა შორის ვალების გადახდის საკითხს.

საფრანგეთის საერთო დავალიანება უდრის 15 მილიარდ მანეთს. ამავე დროს საფრანგეთის მიერ გაცემული სესხი სხვადასხვა სახელმწიფოებზე უდრის 3.750 მილიონ მანეთს, აქედან: ბელგიას 1¼ მილიარდი, იუგოსლავიაზე—750 მილიონი, რუმინიაზე—500 მილიონი, პოლონეთზე—500 მილ. და სხვა პატარა სახელმწიფოებზე—საერთოდ—750 მილიონი მანეთი. ეს გასესხებული თანხა, როგორც კრედიტი, ერთობ მცირეა დავალიანებასთან შედარებით და საფრანგეთი ლამის გაანადგუროს ამ ვალების სიმძიმემ.

ინგლისის მდგომარეობა შედარებით უფრო სანუგეშო იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ მისი მოვალეებს შესძლებოდათ ინგლისის ვალების თავის დროზე ანაზღაურება. მაგრამ ეს შეუძლებელია. აბა როგორ შეუძლია მას გადაუხადოს საფრანგეთმა 6 ნახევარი მილიარდი მანეთი ვალი, იტალიამ 6 მილიარდი, ხოლო დანარჩენმა სახელმწიფოებმა 1 ნახევარი მილიარდი მანეთი?

ამიტომ იყო, რომ, ამას წინათ ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა ბიუჯეტის განხილვის დროს წამოაყენა საერთაშორისო ვალების საკითხი განაცხადა:—„ინგლისი ვალდებულია თავის ვალების დასაფარავათ ამერიკას წლიურათ პროცენტების სახით 330 მილიონი მანეთი აძლიოს. ამიტომ ინგლისიც თავის მოვალეებიდან ამ თანხაზე მეტს არაფერს არ მოითხოვსო“...

ამას მოყვა ინგლის-იტალიას შორის 1926 წლის 30 იანვრის მოლაპარაკება, რომლის ძალითაც იტალია იძულებულია 62 წლის განმავლობაში ინგლისს უხადოს 40 მილიონი მანეთი.

რაც შეეხება საფრანგეთს, მას პირველი ხუთი წლის განმავლობაში არაფრის მიცემა არ შეუძლია ინგლისისათვის. ხუთი წლის შემდეგ კი მან უნდა გადაიხადოს 125 მილიონი მან. წლიურად. საფრანგეთმაც 62 წელიწადი მოითხოვა ვალების გადახდისათვის, მაგრამ კაიომ აქვე განაცხადა, რომ საფრანგეთი მაშინ შესძლებს ამ პირობის შესრულებას, თუ გერმანია საფრანგეთს „ხეედრ ვალს“ გადაუხდისო.

ინგლისი ამერიკას წლიურად 38 მილიონ გირვანქა სტერლინგს უხდის ვალების პროცენტათ. სამაგიეროდ იგი ღებულობს საფრანგეთიდან 12 ნახ. მილ. გირვანქა სტერლინგს. იტალიისაგან 4 მილიონს, სხვა სახელმწიფოებისაგან 2 მილიონს. გერმანიისაგან, დოუესის გეგმის მიხედვით, იღებს 15 მილ. გირვანქა სტერლინგს. ეს თანხები საერთო ჯამით უდრის 3.342 მილ. გირვანქა სტერლინგს. აქედან ცხადია, რომ ინგლისმა, მართლადაც, რომ შესძლოს საფრანგეთის, იტალიის და სხვა სახელმწიფოებისაგან ვალების მიღება, მაინც არაფერი დარჩება; პირიქით, იგი იძულებული იქნება 4 ნახევარი მილ. გირვანქა სტერლინგი თავისი დაადოს და ისე აუნაზღაუროს ვალები შეერთებულ შტატებს. მაგრამ დასახელებულ სახელმწიფოებისაგან ვალის ანაზღაურება ინგლისისთვის არც ისე ადვილი საქმეა და იგი იძულებულია შეერთებულ შტატებს უხადოს თავისი საკუთარი ხაზინიდან.

ინგლისი უკვე დარწმუნებულია, რომ მას ვალებს ვერ უნაღდებენ და კიდეც, რომ შესძლონ განაღდება, მაინც არაფერი მოგება არ რჩება, მან წამოაყენა საკითხი საერთაშორისო ვალების გაუქმების შესახებ. ამ ნიადაგზე ინგლისმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალდებაც კი წამოუყენა: თქვენ ომიანობით დარბეულსა და ეკონომიურად დაცემულ ევროპას ვალების სახით რეპარაციას ართმევთ და ამით კიდევ უფრო ამძიმებთ ევროპის სახელმწიფოების მდგომარეობას და აახლოვებთ მის კატასტროფასო.

ამაზე ამერიკის მთავრობამ ინგლისს და საერთოთ ევროპის ყველა სახელმწიფოებს უპასუხა: ჩვენ ქველმოქმედობისთვის არა გვცალია, ვალები უნდა აგვინაზღაუროთო.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს საერთაშორისო დავალიანების საქმე. ის ისეთ მოუწესრიგებელია, რაც იწვევს

იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერესების ერთი მეორესთან დაპირდაპირებას. ინგლისი აბრეზილია ამერიკის წინააღმდეგ, ამერიკა—ინგლისის, საფრანგეთი—ინგლისის, ინგლისი—საფრანგეთის, გერმანია ყველას წინააღმდეგ და ასე ბოლომდე. ერთი სიტყვით, იმპერიალისტურ ქვეყნების მონასტერი არეულია. იქ ძაღლი პატრონს ვერ ცნობილობს. ერთი მეორეზე ილესავს კბილებს. ყველა აბჯარს ისხავს....

და ასეთ პირობებში შეუძლია თუ არა ევროპის ბურჟუაზიას გადასჭრას მშვიდობიანის გზით ეს და სხვა ასეთი საკითხები?

პასუხი აშკარაა: ამ საკითხებს ის ვერ გადასჭრის მშვიდობიანის გზით.

მაშ რითი უნდა გათავდეს ეს აუტანელი მდგომარეობა? ამაზე შემდეგ

ალ. ხელაძე.

# კვლავ სადარაჯოზე უნდა ვიდგეთ

ამ კრიზისიდან თავის დასაღწევად, რომელშიაც მსოფლიო ომის მეოხებით ჩავარდენ კაპიტალისტური სახელმწიფოები, ბურჟუაზიის მესვეურები დიდი ხანია სცდილობენ თავის დაღწევას. სწორედ ამ მიზნით არის ამჟამად მოწვეული ჟენევაში საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია, რომელიც უკვე მესამე კვირაა აწარმოებს მუშაობას. ხსენებულ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებიც.

რა თქმა უნდა, ამ კონფერენციის დადებით შედეგებზე საბჭოთა ხელისუფლება იმ თავიდანვე დიდ იმედებს არ ამყარებდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სანამ მსოფლიოში არსებობს ორი სისტემა—კაპიტალისტური და სოციალისტური, ჩვენ დაინტერესებული არ ვიყოთ ერთგვარი საქმიანი ურთიერთობა ვიქონიოთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. სწორედ ამიტომ არის, რომ ერთა ლიგის მიერ მოწვეულ ეკონომიურ კონფერენციაზე, საბჭოთა მთავრობამ მიიღო მონაწილეობა.

მაგრამ, თუ ჟენევაში კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები, ვითომდა, ეძებენ გზებს საბჭოთა მთავრობასთან ნორმალური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რომლის მოუგვარებლად წარმოუდგენელია ევროპაში დღეს არსებული უმუშევრობისა და ეკონომიური კრიზისის შენელება, ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, თავის ქვეყანაში ყოველ მხრივ ხელს უშლის ამ ნორმალური ურთიერთობის მოწესრიგებას.

ამ დღეებში გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ ლონდონის საქმიანმა წრეებმა ერთ-ერთი ბანკის საშუალებით 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის კრედიტები უნდა მისცეს საბჭოთა კავშირს ინგლისში სხვადასხვა შეკვეთების შესასრულებლადო.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ორივე ქვეყნისათვის ერთნაირად სასარგებლო მოვლენაა. ჩვენი წარმოების ასაღორძინებლად ჩვენ გვესაჭიროება მანქანა - იარაღები, რომელიც მოეპოება ინგლისის მრეწველობას. ინგლისისათვის კი ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მისი წარმოება შოულობს ბაზარს და აგრეთვე შემცირდება ის ქრონიკული უმუშევრობა, რომელიც დიდი ხანია არსებობს ინგლისში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის ბურჟუაზიაში არსებობს მიმდინარეობა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, რომელთა ნებისყოფის გამომხატველი პირები სხედან მთავრობაშიაც. ერთი ასეთი პიროვნება ბრძანდება შინაგან საქმეთა მინისტრი ხიკსი.

აი, ამ პიროვნებების გავლენით ინგლისის მთავრობა ხშირად მიმართავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროვოკაციულ საშუალებებს. ჩინეთში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე თავდასხმა და ამ დღეებში ასეთივე თავდასხმის განმეორება ლონდონში ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე, ამ პროვოკაციის ერთი რგოლთაგანია.

დიდი ხანია ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ცდილობს შექმნას მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მიზნით მისი მეთაურობით დაიდო ლოკარნოს ხელშეკრულება, მაგრამ მათდა სამწუხაროდ ამ ხელშეკრულებამ ვერ გამოიღო ისეთი შედეგი, როგორსაც მისი ავტორები მოელოდენ. გერმანიამ, რომლის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, თუმცა მონაწილეობა მიიღო ლოკარნოს შეთანხმებაში, მაგრამ ამავე დროს საგარანტიო ხელშეკრულება დასდო საბჭოთა კავშირთანაც. მეორე დასაყრდენი ინგლისის მთავრობისათვის იყო პოლონეთი და ბალტიის პატარა სახელმწიფოები, მაგრამ ინგლისმა აქაც ვერ მიაღწია მიზანს. პირველ ყოვლისა მან ვერ შეათანხმა პოლონეთი ბალტიის სახელმწიფოებთან და აგრეთვე ვერ მოაგვარა პოლონეთ - გერმანიასთან დამოკიდებულების საკითხი. პირიქით, ბალტიის სახელმწიფოები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირთან. მოსალოდნელია აგრეთვე პოლონეთმაც დაიწყოს ასეთივე მოლაპარაკება.

ასეთ პირობებში ინგლისის მთავრობას რა დარჩენია, თუ არა პატარა პროვოკაციების მოწყობა, რომელიც ორივე მხარისათვის ერთნაირათ საზარალო შედეგებს იძლევა.

საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ გასცა შესაფერი პასუხი ამ პროვოკაციას. კითხვა პირდაპირ არის დასმული.

„თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სისწორით შეასრულებს სავაჭრო შეთანხმებას და საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოებს მიეცემა შეუწყვეტელი, მშვიდობიანი და ნორმალური მუშაობის შესაძლებლობის გარანტია“, ვკითხულობთ საბჭოთა მთავრობის მიერ გადაცემულ ნოტაში.

ამ კატეგორიულ მოთხოვნილებას არ შეიძლება გვერდი აუხვიოს ინგლისის მთავრობამ, მით უმეტეს თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკამ არ მოიტანა ის შედეგები, რასაც მისგან მოელოდენ მისი ინიციატორები. ეს სხვათა შორის აშკარად განაცხადა თვით ამ ჩხრეკის მთავარმა ხელმძღვანელმა ხიკსმა თემთა პალატაში შეკითხვის დროს. მინისტრი აცხადებს, რომ ის საბუთი, რომლის საბაბით გამოწვეული იყო გაჩხრეკა, წარმომადგენლობის საბუთებში არ აღმოჩნდაო.

როგორც ბერლინის ერთ-ერთი გაზეთი იტყობინება, ბერლინის დიპლომატიურ წრეებში გავრცელებულია ხმები, რომ თითქოს ინგლისის პოლიცია ეძებდა დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენდა ინგლის - საფრანგეთის გერმანიაზე და საბჭოთა კავშირზე გალაშქრების და ჯარების გადაყვანის გეგმას გერმანიის ტერიტორიაზე, თუ ვინიცობაა გერმანია პირს იბრუნებდა ლოკარნოდან და უფრო ახლო თანამშრომლობას დაიწყებდა საბჭოთა კავშირთან.

ამ ცნობის პირველ ნაწილზე, სადაც ლაპარაკია ინგლის-საფრანგეთის გალაშქრების შესახებ გერმანიაზე, ჩვენ ეჭვი გვეპარება. არა გვგონია, რომ საფრანგეთისათვის დღეს ხელსაყრელი იყოს გერმანიაზე გალაშქრება, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მოხდა საფრანგეთ - გერმანიის ფოლადის მრეწველობის გაერთიანება.

რაც შეეხება სამზადისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, ეს უფრო მხედველობაში მისაღები.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ, ინგლისის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობს მოამზადოს ნიადაგი ჩვენს

წინააღმდეგ ხელახალი ინტერვენციისათვის. შეიძლება ამასთან იყოს დაკავშირებული საფრანგეთის პრეზიდენტ დუმერგისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ბრიანის გასტროლები ინგლისში, რომელთა მოგზაურობის მიზანს ეძებს „ვესტმინსტერ გაზეთი“ და სწერს:

„პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ დუმერგისა და ბრიანის სტუმრობა ლონდონში დაკავშირებულია რუსეთის საკითხთან, წინად ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს თვალსაზრისი მდგომარეობდა იმაში, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შეწყვეტა წაათამამებდა ბალტიის სახელმწიფოებს, და განსაკუთრებით პოლონეთს, რომ შესაძლებელი გახდებოდა საზღვრების გადალახვა და სხვა მტრული ინციდენტები, ამას კი მოყვებოდა სერიოზული შედეგები ევროპის სხვა სახელმწიფოებისათვის. ეხლა ჩემბერლენი აღარ ადგას ასეთ თვალსაზრისს და იგი მხოლოდ უცდის ამბების შემდეგ განვითარებას“.

და სწორედ ჩემბერლენის სამწუხაროდ ეს ამბები მისთვის სასარგებლოდ არ ვითარდებიან. მართალია ინგლისის მთავრობამ შესძლო ჩინეთის რევოლიუციონური ჯარების სარდლის—ჩან-კაი-შის მოსყიდვა, მაგრამ ეს ვაჟბატონი უკვე გარიყული აღმოჩნდა და ჩინეთის რევოლიუცია ისევ გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს როგორც შინაური მილიტარისტების, ისე იმპერიალისტების წინააღმდეგ. ამტომაა, რომ აღმოსავლეთის გართულებული მდგომარეობის გამო ინგლისის მთავრობას ჯერ-ჯერობით მაინც ხელები მოკლე აქვს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ასეთ პირობებში არ არის მოულოდნელი, ლონდონის გაზეთის განცხადება, რომ დუმერგისა და ბრიანის ინგლისში მოგზაურობა დაკავშირებულია რუსეთის საკითხთანო.

საფრანგეთში, მემარცხენე ბლოკის მთავრობის დამხობის შემდეგ, რომელიც შეცვლილ იქნა პუანკარეს მთავრობით, მართალია, საბჭოთა კავშირს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ სავაჭრო ხელშეკრულების დადება ჯერ-ჯერობით მაინც ვერ მოხერხდა. ამას რა თქმა უნდა, თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს და პირველ ყოვლისა ვალების საკითხი. შეიძლება პუანკარეს მთავრობას კვლავ აღეძრა იმედი ამ ვალების განაღდებისათვის და დარწმუნებულია იმაში, რომ მშვიდობიანის გზით ამას ის ვერ შესძლებს, ფიქრობს ხელახლა ინტერვენციის განმეორებას.

საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ის თანახმაა ყოველგვარი სადაო საკითხები და მათ შორის ვალების საკითხიც გადაჭრილ იქნეს ურთიერთ მოლაპარაკების და შეთანხმების გზით. მართალია თვითმპყრობელობის მთავრობას ემართა ვალი საფრანგეთის, რომლის განაღდებას ის ეხლა საბჭოთა კავშირისაგან მოითხოვს, მაგრამ ამავე დროს საბჭოთა მთავრობასაც აქვს პრეტენზიები. იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც ჩვენ მოგვაყენეს ინტერვენციის დროს. თუ ამ ზარალს იცნობს საფრანგეთის მთავრობა, მაშინ შეთანხმებაც ადვილი მისაღწევი გახდება..

და რამდენი გეგმებიც არ უნდა შეთხზან იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამით ისინი ჩვენ სამშვიდობო პოლიტიკაზე ხელს ვერ აგვაღებინებენ. საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი სრულიად დამშვიდებულად განაგრძობს მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობას. მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ მზად არ ვიყოთ ყოველგვარ მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად.

მანამ, სანამ არსებობს ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წყობილება, ასეთ მოულოდნელობას ჩვენ ყოველთვის უნდა მოველოდეთ.

შიგნით აღმშენებლობითი მუშაობა, საგარეო პოლიტიკაში წინდახედული მოქმედება, ჩვენი საზღვრების სადარაჯოზე ფხიზლად დგომა—აქეთკენ უნდა იქნას დღეს მიპყრობილი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის ყურადღება.

ს. ელიაძე.

# სამხატვრო აკადემიის 5 წლის თავი

დღეს საქართველოს სამხატვრო აკადემია დღესასწაულობს თავისი არსებობის 5 წლის თავს. მხოლოდ 5 წელია, რაც არსებობს ეს ფრიად კულტურული უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი. მაგრამ მას უკვე აქვს თვალსაჩინო მიღწევები. აკადემიის მიზნებისა, მისი სტრუქტურისა და საერთო სამუშაო გეგმის შესახებ გვქონდა მოთავსებული ცნობები ჩვენი ჟურნალის მე-9-რე №-ში; ეხლა მოკლეთ შევეხებით მხოლოდ მის მუშაობას და საჭიროებას.

მეტად ცუდ და დამაბრკოლებელ პირობებში უხდებოდა აკადემიას მუშაობა. მაგრამ მიუხედავათ ამისა აკადემიას ამჟამათ მაინც აქვს თვალსაჩინო მიღწევები. მხატვრული ცოდნის მოწყურებული ახალგაზრდობა პირველ წელიწადსვე ბლომათ მოაწყდა აკადემიას და გამოცდილ პროფესორთა ხელმძღვანელობით პირველ წლებშივე ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა, რაც ნათლად მტკიცდებოდა ყოველ წელიწადს გამოფენილ ნამუშევრებით, რომლის შესახებ საზოგადოება და პრესა ყოველთვის დადებით აზრის იყო. აღსანიშნავია, რომ ერთი ასეთი გამოფენა დაათვალიერა საბჭოთა რუსეთის სახ. განათლების კომისარმა ამხ. **ლუნაჩარსკიმ,** რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა აკადემიის მიზანშეწონილი და ნაყოფიერი მუშაობა. მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისს ხელოვნების განყოფილებამ მოაწყო სპეციალური დისპუტი აკადემიის მუშაობის შესამოწმებლათ; დისპუტს დაესწრო მხატვარ-ხელოვანთა საკმაო რიცხვი და აუარებელი დაინტერესებული საზოგადოება; დისპუტმა დაადასტურა, რომ აკადემიაში საქმე სწორეთ არის დაყენებული და მისი მუშაობა გამართლებულია.

როცა აკადემიის მიღწევებს ვეხებით, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ხუროთმოძღვრების განყოფილების თვალსაჩინო საქმიანობა. ამ განყოფილების სტუდენტები უკვე ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას. მათ რამოდენიმეჯერ მიიღეს მონაწილეობა ა.-კავკასიის მასშტაბით გამართულ მუშათა და კოოპერატიულ სახლების პროექტების კონკურსში. პრემია თითქმის ყოველთვის მათ ხვდათ წილათ. ისინი აწარმოებენ აგრეთვე „სამშენის“ და სხვა სააღმშენებლო სამუშაოებს. ამ განყოფილებაზე საქმის მიზანშეწონილად დაყენება იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საქართველოს, რომელიც წინათ ამაყობდა გამოჩენილი ხუროთმოძღვრებით, აკადემიის წყალობით სულ მალე ეყოლება უმაღლესი მხატვრული ცოდნით აღჭურვილი ხუროთმოძღვრები. არა ნაკლები ნაყოფიერება ეტყობა ქანდაკების განყოფილებას: ბევრ დაწესებულებებს ამშვენებს ამ განყოფილების სტუდენტების ნამუშევრები. ისინი მონაწილეობდენ აგრეთვე ყველა ძეგლების კონკურსში (ლენინის, სარაჯიშვილის, კამოსი და სხვა).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტფილისში არსებულ ყველა სკოლებში ხატვისა და ძერწვის მასწავლებლათ არიან მხოლოდ აკადემიის სტუდენტ-მსმენელები. აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ისინი აგრეთვე სათეატრო, საკლუბო, საპლაკატო, საგამომცემლო და საერთოდ დეკორატიულ მუშაობაში.

აკადემია არ კმაყოფილდება მარტო აკადემიის კედლებში მუშაობით: მას ყოველ წელიწადს, ზაფხულობით თავისი მუშაობის ცენტრი გადააქვს სოფლად. ბუნების წიაღში, გლეხობასთან დაახლოების მიზნით, მისი ყოფაცხოვრებისა და ადათ-ზნე-ჩვეულებების შესასწავლათ და დასასურათებლათ; ამ მიზნით წარსულ სამოსწავლო წლებში საექსკურსიო მასიური მუშაობა მოეწყო მცხეთაში და მის ახლო მდებარე სოფლებში, გორის მაზრაში და

სხვაგან. არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს აკადემია აგრეთვე ისტორიულ და ხუროთმოძღვრების მნიშვნელობის ნაშთების შესწავლა-გამოკვლევას. გამოსცა ორი ალბომი: 1) „დიღომის დარბაზი“ და 2) „გლეხის დარბაზი“, სადაც მოთავსებულია ძველი, ქართული შენობის ხუროთმოძღვრული ნაშთების სურათები.

გარდა 4 უმთავრესი დარგისა: ფერებით წერის, ხუროთმოძღვრების, ქანდაკებისა და ხატვა-გრაფიკისა არსებობს აკადემიასთან აგრეთვე 4 სპეციალური სახელოსნო: 1) სამულიორო, სადაც ქანდაკების განყ. სტუდენტები სწავლობენ ალიბასტრიდან ქანდაკების ფიგურების ჩამოსხმას და საერთოდ სამულიორო საქმის ტეხნიკას, 2) ქვის სახელოსნო, სადაც სწავლობენ ქვაზე საქანდაკო მუშაობას, 3) სალიტოგრაფიო, რომლის მიზანია შეასწავლოს სალიტოგრაფიო საქმის ტეხნიკა და 4) საკერამიკო სახელოსნო, რომლის არსებობას აქვს უაღრესათ დიდი მნიშვნელობა საქართველოში კერამიკულ მრეწველობის განვითარებისათვის, ამის თავდებია ჩვენში არსებული ამ წარმოების საჭიროებისათვის ნედლი მასალა და საწვავ პროდუქციების სიაფე და სიუხვე. ხსენებული სახელოსნო მიზნათ ისახავს აგრეთვე მოამზადოს ნამდვილი პრაქტიკოს-კერამისტები, რომლებიც გაუწევენ ჩვენ გლეხობას დახმარებას მრეწველობის ამ დარგის წესიერათ წარმოებაში. თვითეულ სახელოსნოს განაგებს სპეციალისტი-ხელოსანი.

ამჟამათ ირიცხება სულ აკადემიაში ყველა დარგზე 210 სტუდენტ-მსმენელნი, რომელთაგან 90 პროც. შესდგება მუშა- გლეხებისაგან, რომლებიც განიცდიან ეკონომიურად დიდ გაჭირვებას; ერთი მხრივ ისინი ეწევიან ლუკმა პურის ძიებისათვის შრომას, ხოლო მეორეს მხრივ აკადემიაში თავდადებულ მუშაობას. დარგების მიხედვით სტუდენტები განაწილებულია: ფერებით წერის განყ.—103, ხუროთმოძღვრებაზე—44, ქანდაკებაზე—35, და ხატვა-გრაფიკაზე—28. ეროვნების მიხედვით: ქართველები—104, რუსები—59, სომხები—36, სხვა ეროვნების—11.

რაც შეეხება მუშაკთა კადრს, მხატვარ-პროფესორებს, ისინი ცნობილი არიან თავისი მხატვრული შემოქმედებით. საქმის ღრმა ცოდნით და ნიჭით მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

თუ აკადემიას მიეცემა ყოველთვიურათ საკმაო სუბსიდია, დაკმაყოფილებული იქნება მისი საჭიროებანი, რომელიც ამჟამათ მას მეტად ბევრი აქვს, მეორე 5 წლის თავზე ის შესძლებს ყველა დასახულ მიზნების განხორციელებას. და იმ დეფექტების თავიდან აცილებას, რომელიც მას, ასეთ დამაბრკოლებელ პირობებში მუშაობის დროს არ შეიძლება რომ არ ჰქონდეს.

განმანი.

# კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება და მისი შედეგები

## I.

საერთოთ უკვე ცნობილია, რომ იმპერიალისტურმა ომმა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური უნარი შეასუსტა. მან გააღრმავა არა მარტო კლასთა შორის წინააღმდეგობა და დააყენა პირის-პირ შრომა და კაპიტალი, არამედ თვით კაპიტალისტურ ქვეყნებსა და სახელმწიფოებს შორის მოახდინა ნიშანდობლივი გადაჯგუფება, რაც უახლოეს წლებში სრულებით არც სახეობას მისცემს როგორც სამეურნეო ისე პოლიტიკურ დამოკიდებულებას.

ომამდე ეკონომიური ჰეგემონია ერთობ ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების ხელში იყო. როგორც სამრეწველო, ისე ფინანსიური სიძლიერე ევროპის კაპიტალისტების მონოპოლიას შეადგენდა.

1914 წელში ანთებულმა იმპერიალისტურმა კოცონმა ახალი სიძლიერე შექმნა. პირველ რიგში ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები წამოაყენა. წინანდელი დამოკიდებულება უკუღმა შემოაბრუნა და სულ ათიოდ წლების უკან ევროპის ძალა უნარზე დამოკიდებული ქვეყანა მსოფლიო ჰეგემონად გახადა. ომმა და ომის საჭიროებამ ამ მოვლენას უმთავრეს მიზეზად დაუდო, ანთებულ ცეცხლის ალში დამწვარ-დაფერფლილი ძვლები ამერიკის ფინანსიური სიძლიერის განმანოყიერებელი რაობა შეიქნა.

დაგროვილ ავლადიდების წუთობრივ შთანთქვასთან ერთად, აუცილებელი გახდა ახალი ღირებულებათა მირთმევა გაუმაძღარ მოლოხისათვის, რამაც ხელი შეუწყო ამერიკის მილიტარულ ინდუსტრიის მაღალ კონიუნქტურას.

ამ მხრივ პირველი ნათლიღება შეერთებულმა შტატებმა მიიღეს 1917 წლის 24 აპრილს, როდესაც მიღებულ იქნა „თავისუფლების სესხის კანონი“, რომლის მიხედვით ფინანსთა მინისტრს (სტატსეკრეტარს). პრეზიდენტთან შეთანხმებით უფლება ქონდა მიღებული თანხებით შეერთებულ შტატებში დაექვეთა სამხარი მასა. აღნიშნული აქტი ოთხჯერ ზედი-ზედ იქნა დადასტურებული. 1917 წლის 24 სექტემბერს, 1918 წლის 4 აპრილს და 9 ივლისს.

უკანასკნელი, 1918 წლის 9 ივლისის აქტი უკვე განსაზღვრავდა არა დაკვეთების საკითხს, არამედ უფლებას აძლევდა სახელმწიფოს ორგანოებს კრედიტით მიეყიდა მეომარ სახელმწიფოებისათვის საფრანგეთში დაგროვილი სამხარი მასალები, რის უკან ამერიკაში გადაზიდვა ფასებს საგრძნობლად გაადიდებდა.

ომის შეწყვეტის შემდეგ ევროპის ყველა სახელმწიფოებში თავი იჩინა სანოვაგის კრიზისმა. ბანკების კაპიტალმა აქაც შესძლო არსებული გაჭირვების თავის სასარგებლოდ გამოყენება. 1919 წლის 25 თებერვალს კანონის მიხედვით შექმნილ იქნა ფონდი 100 მილიონი დოლარის რაოდენობით, რომლის საშუალებით დამშეულ ევროპისათვის ამერიკის ვაჭრობა მრეწველობას სურსათ - სანოვაგე უნდა მიეწოდებია. შემდეგ 1920 წლის 30 მარტს მიღებულ კანონის მიხედვით უფლება მიეცა შეერთებულ შტატებს ხორბლეულობის კორპორაციის ფინანსთა მინისტრის ნებართვით გაეყიდა ნისიათ 5 მილიონი მარილი ხორბლეულობა ევროპის ქვეყნებში.

აღნიშნულ კანონების თანახმად გაცემული იქნა 10.274.394; ათასი დოლარის სესხი. **(ათი მილიარდი ორას სამოცდა თორმეტი მილიონი 394 ათას ასი დოლარი).** რასაკვირველია, რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზე სამხარი საჭიროების სესხი სდგას

ომის საჭიროებისათვის 9.573.236,6 ათასი დოლარი ევროპაში დარჩენილი სამხარი მასალების გაყიდვა 585.946,3 ათასი დოლარი, სურსათ-სანოვაგის და ხორბლეულობის სესხი 115.211,2 ათასი დოლარი.

სულ. . . 10.274.394,1 ათასი დოლარი.

ამ თანხებიდან სესხათ მიიღო:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისმა | —4.277.000,0 | ათასი მანეთი |
| საფრანგეთმა | —2.997.477,8 | „ „ |
| იტალიამ | —1.648.034,1 | „ „ |
| ბელგიამ | — 349.214,5 | „ „ |
| ყოფ. რუსეთმა | — 187.729,8 | „ „ |
| იუგო-სლავიამ | — 26.780,5 | „ „ |

სულ ანტანტის ქვეყნებმა 9.486.236,7 „ „

დანარჩენი თანხა 87 მილიონი დოლარი გაუნაწილდა შემდეგ სახელმწიფოებს: ჩეხო-სლოვაკიას—61.974,0 ათასი მან.; საბერძნეთს—15.000,0 ათასი მანეთი; კუბას—10.000,0 ათასი მან. და ლიბერიას—26,0 ათასი მან.

რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე სდგას 1918 წლის 9 ივლისის აქტით გაწერილი „თავისუფლების სესხით“ აღებული თანხებით ევროპაში დარჩენილი სამხარი მასალების კრედიტის განაღდება.

რამდენათაც სესხის პირველი კატეგორიის განაწილების დროს საქმე გვქონდა მიმდინარე ომის საჭიროე-

ბის დასაფარავათ აღებულ თანხებთან, იმდენათ 9 იგლისის კრედიტი სულ სხვა სახეს გვიჩვენებს. აქ უკვე საქმე გვაქვს სამხედრო მასალებით ახალ აღჭურვასთან.

სამხარი მასალები მიიღო კრედიტით: საფრანგეთმა —407.341,1 ათასი დოლ.; პოლონეთმა—83.682,7 ათასი დოლარი; ბელგიამ—29.872,7 ათასი დოლ.; ჩეხო-სლოვაკიამ—20.604,3 ათასი დოლ.; იუგო-სლვიამ—24.978,0 ათასი დოლ.; ლიტვამ—4.159,5 ათასი დოლ.; ესტონიამ—2.521,9 ათასი დოლ.; ფინეთმა—12.213,4 ათასი დოლ.; ყოფ. რუსეთმა—406,1 ათასი დოლ. და ნიკარაგუამ—166,6 ათასი დოლ.

სულ — 585.946,3 ათასი დოლარი.

სურსათ - სანოვაგის სესხი გაუნაწილდა მხოლოდ ომის შემდეგ ახლად წარმოშობილ ეროვნულ სახელმწიფოებს: ჩეხო-სლოვაკიას, პოლონეთს, ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს და ფინეთს. ფინეთის დეპარტამენტი ამ უკანასკნელ სესხიდან 1[illegible].959.900 დოლარს ანგარიშობს სომხეთზე.

ამრიგად ჩაეყარა საფუძველი იმ დიდ საკითხს, რომელსაც ამერიკისადმი [illegible] ეწოდება და ევროპის ქვეყნებს დომოკლეს მახვილათ აწევს კისერზე.

ცხადია, შეერთებული შტატების კაპიტალმა ორი კურდღელი დაიჭირა ერთად. სახელმწიფოს მიერ გარანტია-ქმნილი სარგებლიანი სესხი საკუთარ ინდუსტრიასვე მოახმარა. აშკარაა ინდუსტრიამ სათანადო მოგებით გაიწაღდა სამხარი მასალები, ხოლო ევროპის ხალხები სისხლით დაიცალა და ომს შეწირული ავლა-დიდება კისერზედ საშვილიშვილო ვალად დააწვა. „თავისუფლების სესხის“ სარგებელი 1919 წლის 15 მაისამდე წინასწარ გაღებულ კრედიტთან იქნა გამორიცხული. აღნიშნულ დროიდან ევროპის ქვეყნების ეკონომიური კრიზისის გამო როგორც ძირითადი თანხის, ისე სარგებლის გადახდა შეფერხდა, რის გამო სარგებელი მიემატა ისევ ძირითად სესხს და ეს უკანასკნელი 12 მილიარდამდე გაიზარდა. მხოლოდ 1923 წელში მოხდა ერთგვარი გაწესრიგება. სესხი გარდაქმნილ იქნა გრძელვადიანათ (62 წლით). ნაწილი გადაუხდელი სარგებლისა მოხსნილი იქნა და შემდეგ წლებში ხელახლად აღებულ სესხებთან ერთად დავალიანებამ შემდეგი სახე მიიღო:

| სახელმწიფოები | გაწესრიგების დატა | სესხის რაოდენობა დოლარი | განაღდების ვადა | სარგებლის რაოდენობა წლიური % % |
|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი . . . . . | 18/VI 1923 წ. | 4.600.000.000 | 62 წელი. | 3—3½ % |
| 2. საფრანგეთი . . . . | 29/IV 26 წ. | 4.025.000.000 | 62 „ | 1—2½—3½ |
| 3. ბელგია. . . . . . | [illegible] 25 წ. | [illegible] | 62 „ | 3½ |
| 4. იტალია . . . . . | 14/I 25 წ. | 2.042.000.000 | 62 „ | ½—2 % |
| 5. იუგოსლავია . . . . | 3/V 26 წ. | 62.850.000 | 62 „ | ⅛—2—3½ % |
| 6. რუმინია . . . . . | 4 XII 25 წ. | 44.590.000 | 62 „ | 3½ |
| სულ ანტანტა | | 11.192.220.000 | | |
| 7. პოლონეთი . . . . . | [illegible] 24 წ. | [illegible] | 62 წელი. | 3—3½ % |
| 8. ჩეხოსლოვაკია . . . . | 13/X 25 წ. | 115.000.000 | 62 „ | 3½ % |
| 9. ესტონია . . . . . | 26/X 25 წ. | 13.830.000 | 62 „ | 3—3½ % |
| 10. ფინეთი. . . . . | 1/V 23 წ. | 9.000.000 | 62 „ | 3—3½ % |
| 11. ლატვია . . . . . | 24/IX 25 წ. | 5.775.000 | 62 „ | 3—3½ % |
| 12. ლიტვა . . . . . | 22/IX 24 წ. | 6.030.000 | 62 „ | 3—3½ % |
| 3. უნგრეთი . . . . . | 25/V 24 წ. | 1.939.000 | 62 „ | 3—3½ % |
| სულ არა ანტან. ქვეყ. | | 330.1 4.000 | | |
| ევროპის დავალიანება | | 11.522.357.000 | | |

აქ მოყვანილი 11.5 მილიარდი დოლარი წარმოადგენს იმ სრულებით არა პროდუქტიულ ვალს, რომელიც 95 პროცენტი ომს მოხმარდა. ევროპის ბურჟუაზიამ ეს თანხა ხალხის ხოცვა-ჟლეტას მოანდომა, ხოლო იანკეეს კაპიტალმა კაცობრიობის ეს უბედურება თავისი სიძლიერისა და სიმდიდრის წყაროთ გამოიყენა. დღეს იანკი ღიმილით შესცქერის ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლების თამასუქებიც მას ხელში აქვს და ის ყოველთვის მოხერხებულად სარგებლობს ამ გარემოებით თავისი გავლენის გასაძლიერებლად.

62 წლის განმავლობაში აქ ჩამოთვლილი სახელმწიფოების მშრომელი მასები იძულებული არიან ლუკმა დაიკლონ და იანკები დააკმაყოფილონ. ვალის პროცენტებიც ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ თუ სესხის ვადას მივიღებთ მხედველობაში დავინახავთ, რომ შთამომავლობის ორ მოდგმას გადასახდელი ექნება არა 11,5 —არამედ 22,14 მილიარდი, დოლარი ან რუბლი რიცხვით 45 მილიარდი მანეთი.—ძირითადი თანხა და 62 წლის სარგებელი შემდეგნაირად ნაწილდება სხვადასხვა სახელმწიფოებზე:

| | ძირითადი ვალი დოლარი | სარგებელი დოლარი | ჯამი დოლარი |
|---|---|---|---|
| ინგლისი . . | 4.600.000.000 | 6.505.965.000,00 | 11.105.965.000,00 |
| საფრანგეთი . | 4.025.000.000 | 2.822.674.104,17 | 6.847.674.104,17 |
| ბელგია. . . | 417.760.000 | 310.050.500,00 | 727.810.500,00 |
| იტალია . . | 2.042.000.000 | 365.677.500,00 | 2.352.050.500,00 |
| იუგოსლავია . | 62.850.000 | 32.327.635,00 | 95.177.635,00 |
| რუმინეთი . . | 66.560.000 | 55.945.699,62 | 122.505.699,62 |
| პოლონეთი . | 178.560.000 | 257.126.550,00 | 435.586.550,00 |
| ჩეხოსლოვაკია | 185.071.023 | 127.740.410,81 | 312.811.433,81 |
| ესტონია . . | 13.830.000 | 19.510.140,00 | 33.331.140,00 |
| ფინეთი. . . | 9.000.000 | 12.695.055,00 | 21.695.055,00 |
| ლატვია . . | 5.775.000 | 8.183.635,00 | 13.958.635,00 |
| ლიტვა . . . | 6.030.000 | 8.501.940,00 | 14.531.940,00 |
| უნგრეთი . . | 1.939.000 | 2.754.240,00 | 4.693.240,00 |
| სულ . | 11.522.354.000 | 10.621.185.943,10 | 22.143.539.993,10 |

წლიური გადასახადის რაოდენობა მიმდინარე 1927 წლიდან 1936 წლამდე უდრის 210,6—300 მილიონამდე. 1936 წლ. 1973 წლამდე 300—400 მილიონამდე, 1974 წლ. 1984 წლ. 400—418 მილიონ. უკანასკნელი სამი წელი იძლევა 221,5-დან 227,3 მილიონამდე.

თუ ჩვენ ამ პროდუქტიულ გადასახადებს მიუმატებთ ე. წ. საწარმოო სესხებს, შემდეგ კომუნალურ დაწესებულებების კრედიტს და ე. წ. საბანკო ტრანსაქციებს, დავინახავთ, რომ კაპიტალისტური ევროპა სულ ერთიანად მოქცეულია იანკეს კლანჭებში, ეს კი შეიძლება გახდეს ახალი გართულების მიზეზი.

რას უქადის კაპიტალისტურ ევროპას ასეთი დამოკიდებულება? როგორი კონსტელიაცია შეიქმნა ევროპის მეურნეობაში, როგორია ურთიერთშორის დავალიანება ევროპის სახელმწიფოებს შორის და როგორია ამ მხრივ კაპიტალისტური ქვეყნების პერსპექტივები? ამაზე შემდეგ.

**იპ. ნარსია.**

# შენიშვნები რკინისგზაზე

ძველი ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა, როგორც სახელმწიფოსი, აგრეთვე მის დაბალ აპარატებში მიუღებელი იყო მუშათა კლასისთვის და მისი აღმოფხვრისთვის უამრავი მსხვერპლი გაიღო მან ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში.

დღეს მუშათა კლასი უდგია სახელმწიფოს სათავეში და ის რა თქმა უნდა, ვერ მოითმენს ძველი დამყაყებული და პროლეტარიატისათვის გამოუსადეგარ ზნე-ადათ-ჩვეულებებს. ამიტომაც ის ანგრევს ძველს, აშენებს ახალს. ეს სრულიად კანონიერი მოვლენაა, მაგრამ ეს ნგრევა-შენების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ არ იკარგებოდეს ისეთი ძველი, რაც დღესაც დიდ ღირებულებას წარმოადგენს. გლეხი აშენებს ახალ შენობას. მაგრამ ის როდი სპობს ძველი შენობის კარგსა და გამოსადეგ მასალას.

ახლა თვალი გადავავლოთ, რა ხდება საბჭოთა ზოგიერთი აპარატის განახლების დროს.

ზოგიერთი ჩვენი აპარატის განახლება არ ხდება ისე, როგორც ეს სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობისთვის. მე არ გავკადნიერდები და არ ვიტყვი, რომ ასეთ რამეს განგებ, წინასწარი მოსაზრებით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ზიანის მისაყენებლად სჩადიოდენ ისინი, ვისაც დავალებული აქვთ ძველის ნანგრევებზე ახალის აშენება. შეიძლება ამის მიზეზი მდგომარეობდეს იმაში, რომ მათ დავალებული საქმის არაფერი არ გაეგებათ. მაგრამ ასეა თუ ისე, თვით საქმე დიდათ ზარალობს.

ამ შემთხვევაში მე სახეში მაქვს ის არა სასურველი და სახელმწიფოსთვის საზარალო მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი რკინის გზის მეურნეობაში. ამ წერილში მე მინდა შევეხო რკინის გზის აგენტების შერჩევა-მომზადების საქმეს, რომელთა უნარიანობა—მეხსიერება—ცოდნა-გამოცდილებაზე და გამჭრიახობაზე ძალიან ხშირად არის დამოკიდებული ათასეული ხალხის სიცოცხლე და ბედიღბალი. მე ოცდა ათი მეტი წელი მიმსახურია რკინის გზაზე დაწყებული მემუხრუჭედან გათავებული სადგურის უფროსის თანამდებობამდე. და უნდა გულახდილათ ვსთქვა, რომ პირდაპირ შიშის ჟრუანტელი მივლის ხოლმე ტანში, როცა გამახსენდება, რომ ეხლანდელი კურსებიდან გამოშვებული აგენტები ემსახურებიან მატარებელს, რომელთაც ყოველ წუთს მოელისთ უბედურება სულ უბრალო ტეხნიკური კანონების დარღვევა-შესრულება ან მათი ცუდათ გაკეთება-შეთვისების გამო. ძველადაც იყვენ აგენტების მოსამზადებელი სკოლები, სადაც მხოლოდ და მხოლოდ აბსოლიუტურ უმრავლესობას რკინის გზელებიდან იღებდნენ: მეისრეებს—ლიანდაგის ძველი მუშებიდან, რომელთაც დიდხანს უნდა ემუშავა გამოცდილ მეისრის ხელმძღვანელობით. შემდეგ დაიკავებდა გამოცდას სადგურის უფროსის, მის თანაშემწის და გზის ოსტატისაგან შემდგარ კომისიაში და მხოლოდ ამის შემდეგ ის იგზავნებოდა პასუხისმგებელ მეისრეთ. მემუხრუჭის ადგილის მსურველს, რამოდენიმე წელი წარჩინებით უნდა ემუშავა მეისრეთ და ამის შემდეგ მას გამოცდა უნდა დაეჭირა ზემოთ ნაჩვენებ კომისიაში.

მემანქანეობის მსურველს ორი წელიწადი მაინც უნდა ემუშავა რომელიმე დიდ სადგურში, სადაც ის სწავლობდა თავის მოვალეობას თეორეტიულად და პრაქტიკულად და გამოცდის ჩაბარების შემდეგ ინიშნებოდა შტატის კანდიდატათ. სადგურის უფროსის თანაშემწეებათ უეჭველათ კარგათ გამოცდილი, უნარიანი და ფხიზელი მემანქანე ან ტელეგრაფისტი იგზავნებოდა აგენტების გადასამზადებელ კურსებზე, საიდანაც გამოსულები სადგურის უფროსის ან მის დახელოვნებული თანაშემწის ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობდენ რამდენიმე ხანს და ამის შემდეგ აძლევდენ მას უშუალო სამსახურს ტეხნიკურ დარგში. რომ პატარა სადგურის უფროსობა შეგძლებოდა უნდა რამდენიმე წელი გემსახურია შემდეგ დარგებში: ტელეგრაფისტათ, მწონავათ, კომერციული და ტეხნიკური მემანქრეთ, უნდა კარგათ გცოდნოდა ბილეთების მოლარეობა, სწრაფი და საგვიანო საქონლის გადაზიდვის ტარიფები თეორეტიულად და პრაქტიკულად და აგრეთვე სადგურის უფროსის უფროს თანაშემწეთ უნდა ყოფილიყავი ხუთიდან ათ წლამდე. ამას გარდა შენი სამსახურის ფორმულიარი, რაც შეიძლებოდა, უმწიკვლო უნდა ყოფილიყო. დიდ სადგურების უფროსობას მხოლოდ პატარა სადგურზე ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახური მოგანიჭებდა. სადგურები ხარისხდებოდა შემდეგნაირათ: 6, 5, 4, 3, 2 და 1, ყველაზე უფრო დიდი სადგური პირველი იყო მოძრაობის რევიზორობას პირველი ან მეორე ხარისხის სადგურის უფროსი თუ ეღირსებოდა. ისიც თუ თავის ხანგრძლივი სამსახურის დროს გამჭრიახობით, ენერგიულ მცოდნეობით და თუ ადმინისტრატიულ ნიჭს გამოიჩენდა.

ასეთი იყო აგენტების წინ წაწევისა და შერჩევის ხაზი. და ჩვენ ვამბობთ, რომ სამართლიანი და მიზანშეწონილი. მაშინც იყო სიმახინჯე და უსამართლობა ნათლიმამობის ნიადაგზე ხანდახან, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლაც სწარმოებდა..

კომერციის რევიზორისათვისაც (კ. რ.) და სადგურის ანგარიშთა რევიზორისათვისაც (ს. ჩ.) საჭირო იყო ასეთივე თეორეტიული და პრაქტიკული სკოლის გავლა.

მატარებლების რევიზორებისთვის (ს. ჟ.) მეორე ხარისხოვან სადგურის უფროსობის სტაჟი მაინც უნდა გქონოდათ და მხოლოდ მაშინ ითვლებოდით მოძრაობის რევიზორის მოადგილეთ საჭიროების დროს.

როგორი მდგომარეობაა დღეს? მოძრაობის რევიზორის ადგილზე, რომელიც უაღრესად საპასუხისმგებლო პოსტად ითვლება, სრულიად წარბ შეუხრელად წამოაყენებს თავის კანდიდატურას მე-5 ხარის. სადგ. უფროსადაც გამოუსადეგარი პიროვნება. ამას კი უწინ ვერ გაბედავდა ადმინისტრატიული საქმის მცოდნე, გამჭრიახობაში გამოჩენილი მე-2-ე ხარისხოვან სადგურის უფროსიც კი. მაგრამ უბედურება მარტო ის კი არ არის, რომ ასეთი პიროვნებები თვითონ ბედავენ ასეთ საპასუხისმგებლო მოვალეობის თავის-თავზე აღებას, უბედურება ის არის, რომ ასეთი კანდიდატები თავის ასეთ სურვილებს ადვილად ისრულებენ. ხშირი მაგალითი ვიცით იმისა, რომ მუშამოსამსახურის დაწინაურება ჩვენ რკინის გზებზე ხდება თვით ამ დაწინაურებულ პიროვნების ღირსება—ნაკლულევანობის გარეშე... ამის შემდეგ ადვილად გასაგებია, რომ ჩვენს მთავარ გზაზე თანდათან ხშირდება რკინის გზის მეურნეობისათვის ფრიად მაზარალებელი მოვლენები.

ჩვენ გვწამს, რომ რკინის გზის სამმართველო შესძლებს ამ ჩვენ მიერ ნაჩვენებ ნაკლის გამოსწორებას...

**ბებერი.**

# მომავალი საკურორტო სეზონი

იწყება საზაფხულო საკურორტო სეზონი. სწარმოებს სამზადისი. სოციალური დაზღვევის ორგანიზაციაც ენერგიულ მუშაობას აწარმოებს. დაზღ. მთავარ სამმართველომ უკვე დაამზადა და დაგზავნა ა.-კ. რესპუბლიკებში გზავნა ა.-კ. რესპუბლიკებში სანატორიული ბილეთები.

მას აღებული აქვს სანატორიუმები შემდეგ კურორტებზე: არაზინდოში—677 სულისათვის. (1928 წლის ზაფხულისათვის სამმართველოს ადგილის აღება არაზინდოში თითქმის არ დასჭირდება, ვინაიდან ამ დროსთვის მას მზად ექნება თავის საკუთარი სანატორიუმი); აბასთუმანში—150 საწოლით; ქობულეთში—400 ადგილი; დელიჟანში—150; კისლოვოდსკი—720; ესენტუკში—360; პიატიგორსკში—48; ჟელეზნოვოდსკში—63; ჯერ გამოურკვეველია თუ სად უნდა იქნას აღებული 320 ადგილი. სოციალური დაზღვევის ორგანიზაციას, სულ აღებული აქვს 2.738 ადგილი.

ეს ადგილები რესპუბლიკებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: აზერბეიჯანს დაეთმობა ზემოთჩამოთვლილ სანატორიუმებში 1916 ადგილი; საქართველოს—600; სომხეთს—187. დანარჩენი 35 ადგილი რჩება სამმართველოს რეზერვში. ამგვარად სეზონის განმავლობაში —20 მაისიდან — 1 ოქტომბრამდე კურორტებზე უნდა გაიგზავნოს 2.738 ავადმყოფი.

თვითეული ავადმყოფი დამზღვევ ორგანოებს უჯდება გზის ხარჯით 250 მან. 2.738 ავადმყოფის შენახვა კი მთელ სეზონში მოითხოვს 684.000 მან. თუ ამ თანხას მიუმატებთ 492.180 მან., რომელიც სოც. დაზღვევამ უნდა მოახმაროს მშრომელთა დასვენების საქმეს, ა.-კ. დასასვენებელ სახლებში გაგზავნილი იქნება 16.016 კაცი და თვითეული ჯდება დაახლოებით 31 მან.), ჩვენ მივიღებთ 1.176.680 მან.

ერთობ დიდი თანხაა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმათ რიცხვს, რომლებსაც ესაჭიროებათ საკურორტო ექიმობა და მოვლა, უნდა ვსთქვათ, რომ ეს თანხა ერთობ პატარაც არის.

ეს გარემოება კი გვავალებს მეტისმეტ სიფრთხილეს და დაკვირვებას, როგორც სნეულების შერჩევის დროს, ისე საზოგადოდ ყოველი კაპეიკის დახარჯვის დროსაც.

შარშანდელი საზაფხულო სეზონი ამ მხრივ ვერ იყო მაინცადამაინც დამაკმაყოფილებელი. მე მხედველობაში მაქვს ავადმყოფების მიერ უქმათ გაცდენილი დღეები სანატორიუმებში. თუ საკურორტო სტატისტიკას გადავათვალიერებთ, ჩვენ წინ გადაიშლება შემდეგი სამწუხარო სურათი: არაზინდოში ყოფნის ვადა ამოუწურავს ავადმყოფების მხოლოდ 44,3 პროცენტს; გაგრაში— 57,6 პროცენტს; დელიჟანში—68,3 პროცენტს აბასთუმნის მე-5 სანატორიუმში—68,8 პროცენტს, პატარა ცემში—57,2 პროცენტი; ცნობები დაახლოებითია, ვინაიდან სანატორიუმებიდან სტატ. ბარათები ძლიერ ცუდათ არის შედგენილი.

აქედან აშკარაა, რომ სანატორიუმებში გაუტარებიათ დრო ავადმყოფების ნახევარზე ცოტათი მეტს. დანარჩენი დრო კი ვერ უსარგებლიათ ავადმყოფებს. სალარო ფულს იხდის და დაზღვეულები კი ვერ სარგებლობენ. ეს გარემოება კი დიდ ზიანს აყენებს დამზღვევი სალაროს საკურორტო საქმიანობას.

რა არის ამის მიზეზი? აქ აღსანიშნავია ორი მომენტი. პირველი: ავადმყოფი ან გვიან ცხადდება სანატორიუმში, ან და დანიშნულ ვადაზე ადრე ეწერება. პირველ შემთხვევაში შეიძლება დამნაშავე იყოს ან სოც. დაზღ. სალაროები, რომელნიც გვიან აწვდიან ავადმყოფებს საჭირო დოკუმენტებს, ან დაგვიანება გამოწვეული იყო ავადმყოფის დაუდევრობით. მეორე შემთხვევაში შეიძლება ბრალი მიუძღოდეს ან საექიმო - საკურორტო კომისიას, რომელიც გზავნის ავადმყოფს არა შესაფერ კურორტზე. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება და იგი იძულებული ხდება რამოდენიმე დღის შემდეგ დასტოვოს კურორტი. შარშანადელ სეზონს ახსოვს ასეთი მაგალითები, მაგრამ წელს იმედი უნდა ვიქონიოთ დისპანსერების მეოხებით ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება.

ამ შემთხვევაში დიდი სიფხიზლე და მუშაობა მართებთ პროფკავშირებს. დარწმუნებული ვართ, ყოველივე ეს მომავალ საზაფხულო სეზონისათვის გამოსწორებული იქნება.

ალ. ღლონტი.

# სახალხო ჯანმრთელობა საქართველოში

ყველაზე უყურადღებოთ იყო ჩვენში მიტოვებული ჯანმრთელობის საკითხი; არავინ არ ზრუნავდა მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის; სამაზრო ცენტრებშიაც იშვიათად ნახავდით საავადმყოფოებს; სადაც კი არსებობდა თითო-ოროლა ისიც მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო: არც ექიმი ხეირიანი, არც წამლობა, არც ავადმყოფების მოვლა და კვება, უბრალო სანიტარიაც არ იყო ყველგან დაცული. სოფელი ექიმბაშებისა და მკითხავებისა ხელში იყო ჩავარდნილი. ისინი იყვნენ ჩვენი გლეხობის „მკურნალი", რომლეთა „წამლობას" არა ერთი და ორი ჯანსაღი მოქალაქე გაუსტუმრებია საიქიოს; რა გასაკვირალია, რომ ასეთ პირობებში სიბნელით მოცული გლეხები თვითონ ქმნიდენ „სამკურნალო" საშუალებას მკითხავ-მარჩიელების, „შეწირულებით", თუ სხვადასხვა „შელოცვების" სახით, აქ იმდენათ მასის შეუგნებლობა არ არის დამნაშავე, რამდენათ ის გარემოება, რომ გლეხი სხვა სამკურნალო საშუალებას თავის გარშემო ვერ ხედავდა და იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო მითაც, რაც მისთვის შესაძლებელი და ხელმისაწდომი იყო.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე სასტიკი ომი გამოუცხადა სნეულებას, ხალხის ფიზიკურ დაავადებას და დიდის ყურადღებით შეუდგა სახალხო ჯანმრთელობის საკითხის მოგვარებას. მიუხედავათ ფინანსიურ თუ სხვა დაბრკოლებათა, შეკეთებულ იქნა არსებული სამკურნალოები, ყველა სამაზრო ქალაქებში დაარსდა საავადმყოფოები რამოდენიმე ათეულ საწოლებით; ზოგიერთ სოფლებში კი საექიმო პუნქტები; მაგ. დუშეთის მაზრაში, გარდა იმისა, რომ შეკეთებულ იქნა საავადმყოფოს შენობა, მოეწყო აგრეთვე სამშობიარო განყოფილება. თელავის მაზრაში საავადმყოფოს დაეთმო ახალი ბინა. შორაპნის მაზრაში კაპიტალური რემონტი გაუკეთდა საჩხერის სავაადმყოფოს და დაარსებულ იქნა 4 საექიმო პუნქტი; სიღნაღის მაზრაში გამოყენებულ იქნა სავაადმყოფოთ ყოფ. ბოდბის მონასტრის შენობა, რომელიც ამჟამად თითქმის მოწყობილია ქირურგიული განყოფილებით. ახალციხის მაზრაში საავადმყოფოსთან მოწყობილ იქნა სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება; ბორჩალოს მაზრაში, სადაც არავითარი საექიმო საშუალობა არ არსებობდა, დაარსებულ იქნა ქ. შაუმიანში 20-საწოლიანი სავაადმყოფო. ქ. ფოთში საავადმყოფო შევსებულ იქნა საექიმო ინვენტარით და ხელსაწყოებით. ლეჩხუმის მაზრის სავაადმყოფოში მოწვეულ იქმნა ექიმი გინოკოლოგი და დოსტაქარი, რაჭის საავადმყოფოს დაეთმო საუკეთესო ბინა. ახალქალაქში დარსებულ იქნა 4 საექიმო პუნქტი. ზუგდიდის მაზრაში გახსნილია 4 საექიმო პუნქტი და 3—საფერშლო. გაუკეთდა კაპიტალური რემონტი სოხუმის სავაადმყოფოს და გაიხსნა ახალი საავადმყოფო ფსირცხაში. ბათუმის საავადმყოფოსთან დაარსდა ვენეროლოგიური და თვალის საექიმო განყოფილებანი. მოწყობილ იქნა ხულოში სავაადმყოფო. გორში დაარსებულ იქნა პოლიკლინიკის სახის ამბულატო-

რიაჲ; ალბულაღში საექიმო პუნქტი გადაკეთებულ იქნა სავაადმყოფოთ სამშობიარო განყოფილებით. წალკის სავაადმყოფოსთან მოეწყო თვალის საექიმო კაბინეთი და სხვა.

ყველა საექიმო პუნქტებზე მოსახლეობას უფასოთ ეძლევა რჩევა-დარიგება, ხოლო დაზღვეულებს, სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფ პირებს, წითელ-არმიელებს და მათ ოჯახის წევრებს და იმ ღარიბ გლეხებს, რომლებიც განთავისუფლებულები არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან, უფასოთ ეძლევათ წამლები და სხვა საჭირო მედიკამენტები. დაზღვეულთათვის სპეციალურათ არსებობს ამბულატორიები, რომლებიც უფასოდ და პირველ რიგში უჩენენ დახმარებას დაზღვეულთ. სულ არსებობს 72—ამბულატორია, აქედან 28—არსებობს ტფილისში, დანარჩენი მაზრებში.

დიდი ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული დედათა და ბავშთა დაცვას; ამ მიზნით დაარსებულია 24—საბავშო კონსულტაცია. არსებობს ეგრეთ წოდებული საბავშო ბაგები რიცხვით 10. საბავშო სახლი ტფილისში 120—ბავშთათვის, ხოლო ქუთაისში—50—ბავშისთვის. ბათუმში და სოხუმში კი სამშობიარო განყოფილებებთან მოეწყო უპატრონო ბავშთა თავშესაფარები. ქუთაისის მაზრაში მოწყობილია მოძრავი კონსულტაცია. გარდა ამისა საქართველოში ბავშთა ჯანმრთელობას დარაჯობს 44—სასკოლო-სასანიტარო ექიმი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალურ სნეულებასთან ბრძოლას, მაგ. **მალარიასთან** საბრძოლველად არსებობს სპეციალურათ სამალარიო სექცია, რომელსაც აქვს ამ სენთან საბრძოლველათ დაწესებულებანი: საქართველოში—11, აფხაზეთში—4, აჭარისტანში—1. სულ 16. სამალარიო სადგურების მოქმედებას ხელმძღვანელობს ტროპიკული ინსტიტუტი. სამალარიო სადგურები აწარმოებენ უმთავრესად ამბულატორიულ მუშაობას და ამავე დროს აწარმოებენ დისპანსერიზაციის სახის მუაშობას: სადგურის თანამშრომლები სინჯავენ მცხოვრებლებს და აღრიცხვაზე აყავთ ისეთი დავაადებულნი, რომლებიც წარმოადგენენ სენის გავრცელების საშიშროებას.

**ტუბერკულიოზთან** საბრძოლველად არსებობს ტფილისში და ქუთაისში ტუბერკულიოზის ამბულატორიები და აგრეთვე დისპანსერები—ტფილისში—2, ქუთაისში კი—1. ქუთაისის დისპანსერთან მოწყობილია დღის სანატორიუმი 20—საწოლით,—ღამის—30—საწოლით; ტფილისის დისპანსერთან მოწყობილია ბინაზე დამთვალიერებელი აპარატი, რომელიც ათვალიერებს ტუბერკულიოზით შეპყრობილ მუშის ოჯახს. გარდა ამისა ტფილისში ყველა საწარმოებებთან დაარსებულია ტუბერკულიოზის უჯრედები და სოციალურ დახმარების საბჭო, რომელიც შესდგება ხსენებული უჯრედების წარმომადგენელთაგან. სპეციალურათ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისათვის, არსებობს რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების დისპანსერი.

არა ნაკლებიე ყურადღება აქვს მიქცეული **ვენერიულ** სნეულებებს; თითქმის ყველა ამბულატორებთან არსებობს ვენეროლოგიური კაბინეთები. ტფილისში არსებობს მთელი რიგი ვენეროლოგიურ ამბულატორიებისა და ერთი ვენეროლოგიური დისპანსერი; ვენეროლოგიური ამბულატორია დაარსებულ იქნა აგრეთვე გორში, ონში, ლიუქსემბურგში და ცხინვალში. ქუთაისში კი არსებობს გარდა ამბულატორიებისა ერთი ვენროლოგიური დისპანსერი 20—საწოლით, რომელიც გარდა პროფილაქტიურ მუშაობისა, აწარმოებს აგრეთვე ავადმყოფების უფასო მკურნალობას. იქვე გახსნილია კონსულტაცია სქესობრივი და ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხების გამოსარკვევათ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილ პრაქტიკულ საშუალებათა, სწარმოებს აგრეთვე მასის თეორიულათ განვითარება სანიტარულ განათლების საშუალებით. ამ დარგში მუშაობა სწარმოებს, როგორც ცენტრში, ისე მაზრებში. სხვადასხვა სანიტარულ განათლების თემებზე სახალხო ლექციებს კითხულობენ საექიმო პუნქტების ექიმები. არსებობს აგრეთვე სოციალურ ჰიგიენის მუზეუმები, რომლებთანაც არსებობს სანიტარულ გამოფენების მოსაწყობათ სახელოსნოები, რომელიც ამზადებს მულიაჟებს. მუზეუმთან არსებობს აგრეთვე სანგანათლების თეატრი, სადაც იმართება უფასო წარმოდგენების სანიტარულ განათლების მიზნით.

ჯანმრთელობის საქმის უფრო რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად ჯანსახკომთან არსებობს სპეციალური კოლეგია, რომელიც იხილავს ჯანმრთელობის დარგის პრინციპიალურ საკითხებს და იმუშავებს მთელ რიგ კონკრეტიულ ღონისძიებებს საქმის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს ადგილობრივ მომუშავე მედიკურ პერსონალს. კომისარიატთან არსებობს აგრეთვე სამეცნიერო საბჭო. მედიცინის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საბჭო მიზნათ ისახავს ჯანმრთელობის სხვადასხვა საკითხის მეცნიერულათ შესწავლას.

წარსულ საბიუჯეტო წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის საქმისათვის გაცემულ იქნა 1.243.669 მანეთი, რაც შეადგენს დაახლოებით სახელმწიფოს ბიუჯეტის 6,1%-ს. ეს თანხა შემდეგნაირად იქნა განაწილებული: მისი 46% დაიხარჯა საექიმო პერსონალის ხელფასისათვის, 38%—სამკურნალო-საჩვენებელ დაწესებულებთა შესანახად, ხოლო დანარჩენი 16% სანიტარულ განათლებისათვის, ეპიდემიასთან საბრძოლველად და სანიტრულ-ჰიგიენურ დაწესებულებების შასანახათ.

ასეთ მდგომარეობაშია მოკლედ, ერთის თვალის გადავლებით სახალხო ჯანმრთელობის საქმე საქართველოში. მოყვანილი ცნობებიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ რა ბევრი გაკეთებულა ამ დარგში შედარებით ძალიან ცოტა ხნის განმავლობში.

მაგრამ ამ დარგში კიდევ ბევრია გასაკეთებელი. არც ერთი სოფელი არ უნდა დავტოვოთ უექიმოთ, ძირიან ფესვიანად უნდა მოვსპოთ ყველგან, მივარდნილ და მიყრუებულ სოფლებში ექიმბაშობა და მკურნალობასთან დაკავშირებულ გლეხებში გავრცელებული მავნე ზნე-ჩვეულება, „ცრუმორწმუნოება: შელოცვა, „წირვა“, „შეწირულება“, მკითხაობა და სხვა. დროა რესპუბლიკის თვითეულმა მოქალაქემ შეიგნოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობას კერძოთ მისთვის და მისი ოჯახისათვის და საერთოდ კი სახელმწიფოს აღორძინების საქმეში.

მთელი ეს დიდი, ეროვნული და სახელმწიფოებრივი მისია უნდა შეასრულონ ჩვენმა ექიმებმა. ამ საკითხის მთელი სიმძიმე მათ აწევს კისრათ, ამ საქმის პასუხისმგებელნი ისინი არიან, მათ უნარიანობაზე, საქმის სიყვარულზე და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული ჩვენი სახალხო ჯანმრთელობა.

მაგრამ, მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ექიმთა პერსონალს აქვს ამ საქმეში დიდი ცოდვა, რაც გამოიხატება უმთავრესათ იმაში, რომ ისინი მასიურათ გაურბიან სოფელს. ყველას უნდა დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით ტფილისში ცხოვრება. ავიწყდებათ, რომ სოფლის მოსახლეობა, გლეხობაა ჩვენი რესპუბლიკის მომაძრავებელი ღერძი, გლეხის გამძლე ხერხემალზეა დამოკიდებული უმთავრესათ ჩვენი რესპუბლიკის ბედი, ამისათვის მისი ჯანმრთელობისათვისაც არა ნაკლები ზრუნვაა საჭირო. სწორედ ეს ვერ შეიგნეს დღემდე ჩვენი ექიმების დიდმა უმეტესობამ.მათ ტფილისში სიმშილობა, ან სულ მცირე ჯამაგირი ურჩევნიათ სოფელში წასვლას თუგინდ თვეში 300—400 მანეთიც რომ შესთავაზოთ; ნუ თუ მიუტოვებელ დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მიყრუებულ სოფლებში უექიმობისა და უწამლობის გამო წუთი სოფელს ეხმარება რამოდენიმე ათეული გლეხობა იმ დროს, როცა ზოგიერთი ექიმები უსაქმოდ დასეირნობენ ტფილისის ქუჩებზე?

ამ გარემოებას ჯანმრთელეობის კომისარიატმა უკვე მიაქცია ყურადღება: გამოსცა დებულება, რომლის ძალით სავაადმყოფოების და კლინიკების ორდინატორები, სავაადმყოფოში სტაჟის დამთავრების შემდეგ, ვალდებულნი არიან იმსახურონ პროვინციაში . სამწუხაროდ, დღემდე ეს დებულება მხოლოდ დებულებად დარჩა; მისი განხორციელება ნაწილობრივათაც კი არ მოხერხდა. ამისათვის საჭიროა უფრო გადამჭრელი ზომები სოფლის ექიმების გასაგზავნათ, ასეთ ზომებს მოითხოვდა საბჭოთა IV-ხე ყრილობაზე ბევრი პროვინციის დეპუტატები. რათ გვინდა ის 100—200 ექიმი, რომელსაც ყოველწლიურად გამოუშვებს ჩვენი უნივერსიტეტი, თუ არა სოფლისა და გლეხობისათვის?

გ. მ—ნი.

# ლ ე ნ ი ნ ს

**(მისი ძეგლის წინაშე ზაჰესში)**

თუმც არ გრგებია შენ ცოცხალს ბედათ
გენახა ჩვენი მთების რკალები,
მაგრამ შორიდან კი მოსახედათ
ჩვენ ხომ არ გვთმობდენ შენი თვალები.
იყო ამაში აზრი, ნათელი,
და წრფელი გულის გრძნობა, უმანკო,
თუმცა გცნეს, როგორც ფეხით გამთელი,
და ბევრმაც ბეცმაც კიცხვით შეგამკო...
ახლა კი, როცა სდგეხარ ამ ადგილს
მტკიცე, ლითონის მთად მოკვეთილი,
გონება კრძალვით მოიხდის მანდილს,
რომ იგრძნოს შენი ზრახვა, კეთილი...
აქ ხომ უკუნით დიოდა მტკვარი,
როგორც ამ მთების გულის ნაღები,
ბევრი თან გაჰყვა მას სატკივარი,
თანააყვავა ბევრიც ბაღები...
„ეკვროდა იმას აქავე გულში
ქართვლის სულივით სუფთა არაგვი,
მასაც უხილავს მტკვართან წარსულში
ქართული მაჯის ბევრი ამაგი...
მაგრამ მძიმეა ბედი წარსულის
და თანაც მჩატე, როგორც ფირფიტა.
და საქართველოს ყოფილი სულიც
ძალით და სიმხნით გამოიფიტა...
მტკვარიც აქ არაგვს, ვით მეჩონგურე,
მკერდში იკრავდა ნელის ფრითინით
და ასე თავქვე ბედის მომდურე
რბოდა ის გულში ჩუმის ქვითინით...
რათ ეძახოდენ „მთავართ სანათლავს“
ამ ადგილს, ხრიოკს, ზვირთებით ხმიანს,
სიტყვას თუ საქმეც თანვე არ ახლავს
და მოჰგავს ხმელი ფოთლების რწიანს?
და აი, მოდი შენ, როგორც რკინა,
თან მოიტანე გული—ბიდონი,
აზრთა ზოდებიც გიძლოდა წინა,
ვით ირგვლივ მთები ისე დიდრონი!..
და უხმე მტკვარს აქ: „შესდეგ! შეჩერდი!
იკმარე წარსულ დროთა სიმუნჯე!..“
და მოიხარა მდინარემც ქედი:
გადახსნა გულის ყველა საუნჯე!
მწველია იგი, ვით მზე ნათელი,
და სუფთა, ვით დღე პირველის თოვის!.
შენც ასე გახდი ჩვენში გამთელი
ღამის და წარსულთ უგულო გლოვის!..

ნ. ზომლეთელი

---

# ყოფ. ახალხაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## საქართველოს ა. ლ კ. კავშირის მე-2 კონფერენციის გამო

12 მაისს დაამთავრა მუშაობა საქ. ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის მეორე კონფერენციამ. მან ჯამი გაუკეთა კომკავშირის წარსულ მუშაობას, მის ნაკლსა და დადებით მხარეებს და მისცა კავშირის წევრებსა და ხელმძღვანელ ორგანოებს საერთო ხაზი და გეგმა მომავალ მუშაობისათვის.

კონფერენციაზე უმთავრესად დასმული და განხილული იქნა ის საკითხები, რომლებიც საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობას შეეხება. მოხსენებები კოოპერაციაზე, სასოფლო მეურნეობისა და ლითონის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე—უმთავრესი მოხსენებები იყო, რომლის გარშემო ტრიალებდა კონფერენციის მთელი მუშაობა.

კომუნისტურ პარტიას დღეს დამკვრელ ამოცანად სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის ძალთა მაქსიმალური გამოყენება აქვს გამოცხადებული.

კომკავშირის კონფერენციამ სავსებით გაითვალისწინა პარტიის მიერ წამოყენებული ამოცანები. როგორც მომხსენებლები, ისე მოხსენების გარშემო მოკამათენი ერთსულოვნად აღიარებდენ, რომ სახალხო მეურნეობის სიძლიერეზეა დამოკიდებული პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური სიძლიერე და კომკავშირის წევრებს მოუწოდებდენ წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მაქსიმალურ ხელის შეწყობისაკენ.

ამგვარად კომკავშირი ფეხდაფეხ მისდევს პარტიას.

კონფერენციამ დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე მეტად მნიშვნელოვან საკითხს—მასიური კულტურული მუშაობის შესახებ. კონფერენციამ ხაზი გაუსვა, რომ მასიური კულტურული მუშაობა უნდა გახდეს მშრომელი ახალგაზრდობის პოლიტიკურ აღზრდის მთავარ იარაღად.

უდიდესი ყურადღება იქნა მიქცეული მესამე თაობის, ე. ი. პიონერთა კომუნისტურ აღზრდის საკითხზედაც. კონფერენციამ აღიარა პიონერთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობა.

ასეთი ძირითადი ამოცანები დაისახა კომკავშირმა მომავალ სამუშაო პერიოდისათვის, და ჩვენ გვჯერა, რომ ის შესძლებს ყველა ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

როდესაც ასეთ საქმიან მუშაობას ხედავ, როცა უყურებ ახალგაზრდა კომკავშირელთა მოკისკასე ცეცხლისმფრქვეველ თვალებს, როცა ერთი-მეორეს ადარებ კომკავშირისა და ყოფ. ახ. მარქსისტთა წარსულ კონფერენციებს, არ შეიძლება მოწოდებით არ შესძახო ახალგაზრდობის ერთ ნაწილს: მოდით, მოდით! დააღწიეთ თავი მენშევიზმის მზაკვრულ სალტეებს, შემოკრბით კომკავშირის გარშემო, ჩაებით ახალგაზრდობის დიად მოძრაობაში, გამოასწორეთ წარსული შეცდომები, მოიხადეთ ახალგაზრდული ვალი!

ოფეთელი.

# საბჭოთა დემოკრატიის გზით

დემოკრატიის საკითხი ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია. დემოკრატიზმის განხორციელება პროლეტარიატის ერთი მთავარი მოთხოვნილებათაგანი იყო ყოველთვის და ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ თანამედროვე სოციალისტურ აზროვნებაში სადაო საკითხთაგან ცენტრალური ადგილი დღესაც დემოკრატიის საკითხს უჭირავს.

— როგორი არის დემოკრატიის მარქსისტული განმარტება?

— დემოკრატია არის მშრომელი ხალხის თავისუფალი ინიციატივა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ფართო მასების ჩაბმა, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების არჩევნებში ფართო მონაწილეობის მიღება, საქმიანი კრიტიკის თავისუფლება და სხვა.

შეიძლება თუ არა დემოკრატიზმზე ლაპარაკი ბურჟუაზიის არსებობის პირობებში?

რასაკვირველია არა.

ბურჟუაზიის არსებობა გულისხმობს მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას. რიცხობრივად ბურჟუაზია ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენს და, მაშასადამე, ადგილი აქვს უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობას. თანამედროვე ბურჟუაზიული ქვეყნები უმცირესობის უმრავლესობაზე ბატონობით ხასიათდება.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ბურჟუაზიის ბუნება არსებითად ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპს.

მაშ რა პირობა არის საჭირო დემოკრატიის განხორციელებისათვის?

საჭიროა ქვეყნის მმართვა-გამგეობის სადავე ხელში ჩაიგდოს პროლეტარიატმა.

თუ ბურჟუაზიის ბუნება ვერ ითმენს დემოკრატიას, ფართო მასის ბატონობას, თუ ბურჟუაზიის გამოსავალი წერტილი ყოველთვის და ყველაფერში საკუთარი **მე** არის და ვერ ურიგდება საზოგადოებრივს, სულ სხვა ბუნებისაა პროლეტარიატი.

პროლეტარიატს არ შეუძლია განვითარება დემოკრატიის გარეშე. პროლეტარიატი თავისი არსებით კოლექტივისტია, მისთვის არ არსებობს საკუთარი მე, მას მხოლოდ საზოგადოებრივი სწამს, მისი გამოსავალი წერტილი ყოველთვის და ყველაფერში არის **ჩვენ**.

არის თუ არა ისეთი გარდამავალი პერიოდები კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, როდესაც, პროლეტარიატი ხელში იგდებს სახელმწიფო ძალა-უფლებას, დემოკრატია იკვეცება?

არის და ამის მაგალითი ჩვენ მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციამ.

1917 წლის ოქტომბერში სახელმწიფო მმართვა-გამგეობის სადავე ხელში ჩაიგდო რუსეთის პროლეტარიატმა.

როგორც აღვნიშნეთ, პროლეტარიატის ერთ-ერთ მთავარ მიზანს შეადგენს დემოკრატიის განხორციელება. მაგრამ მან ეს ვერ შესძლო. რატომ? ეს ადვილი გასაგებია.

ძალა-უფლების ხელში აღებისთანავე, საბჭოთა პროლეტარიატს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ყველა ანტი-რევოლიუციონურმა ძალებმა. ის იძულებული შეიქნა ყოველ ფრონტზე ეწარმოებია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. და ასეთ დროს ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ფართო მასების ინიციატივაზე ლაპარაკი, თავისუფალი არჩევნების ლოზუნგის წამოყენება და საერთოდ დემოკრატიზმის გატარება?

ძლიერ მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად საჭირო იყო ყველაფერი სამხედრო მიზნებს დამორჩილებოდა, სამხედრო წესები გაბატონებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება ვერ შექმნიდა ისეთ რკინის დისციპლინას, როგორიც საჭირო იყო და არის ყოველ[illegible]დან ალყაშემორტყმულ პროლეტარიატისთვის ამ დროს სიტყვისა და პრესის თავისუფლების აღიარება უსათუოდ დაამარცხებდა პროლეტარიატს და ამით დასაფლავდებოდა დემოკრატიის იდეაც.

საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ რკინის დისციპლინის შემოღებით ხუთი წლის განმავლობაში შესძლო მტრის დამარცხება და სამხედრო კომუნიზმის ლიკვიდაციას შეუდგა.

დღეს კი, როცა საფრთხე განვლილია და პირველ რიგში სდგას საკითხი ქვეყნის კულტურულ ეკონომიურ განვითარების შესახებ, დემოკრატიზმი აუცილებელი პირობაა. ფართო მასების მონაწილეობის უმისოთ ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი საქმიანობის ნორმალური მსვლელობა. და თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის არსებობის ისტორიას, დავინახავთ, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა პოლიტიკა, სამხედრო ფრონტებზე გამარჯვების შემდეგ, სწორედ დემოკრატიზმის გატარების გზით ვითარდება.

როგორც საბჭოებში ისე კოოპერატივისა და პროფესიონალურ ორგანიზაციებში ფართოდ არის ჩაბმული მშრომელი მასები. აქ თქვენ ნახავთ, როგორც პარტიულს, ისე უპარტიოს და რაც მთავარია: წინა რიგებში წამოყენებულია მუშები და გლეხები. ერთი სიტყვით ჩვენს პირობებში, ვინც გულწრფელია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ვისაც საქმე აინტერესებს, მას ფართო გასაქანი ეძლევა ყოველგან და ყველაფერში. დღეს ყველას აქვს საშუალება საქმიანი კრიტიკისა, ყველას აქვს საშუალება მიუთითოს ხელისუფლებას მისი ამა თუ იმ ნაკლზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, დემოკრატიზმის სავსებით გატარებაში საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი ხელის შემშლელი ყავს, როგორც გარეთ, ისე შინ. ჩვენში დემოკრატიის საბოლოო გაბატონებას ხელს უშლის სწორედ ისინი, რომლებიც ყოველ გზაჯვარედინზე დემოკრატიაზე ფიცულობენ და ხელისუფლებას დემოკრატიის გათელვას უყიჟინებენ.

— ჩვენი მოვალეობაა გულწრფელად და თავდადებით ვიმუშაოთ საბჭოთა საქართველოს კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განმტკიცებისათვის და მხოლოდ ასეთი მუშაობით მივსცემთ საშუალებას ხელისუფლებას სავსებით გაატაროს ცხოვრებაში საბჭოთა დემოკრატია, რაც აუცილებელი პირობაა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ა. ჩაჩუა.

# კიდევ ახალგაზრდობაზე

ამა თუ იმ ერის კულტურულ ეკონომიური განვითარება დამოკიდებულია მისი სახელმწიფო პოლიტიკაზე. კერძოდ ჩვენი ახალგაზრდობის თვითგანვითარების და მისი კულტურულად ამაღლების საკითხი დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებასთან. მაგრამ, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ყველა ის ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ უწყობდენ ხელს ჩვენი ქვეყნის წინსვლელობას, საჭიროა ზოგადად მაინც მოვიგონოთ ის პირობები, რომელშიაც იყო ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმე საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს.

ყველამ იცის; რომ „დემოკრატიული“ საქართველოს ხელისუფლებას ომის წარმოება უხდებოდა არა მარტო მეზობელ ერებთან, სომხებთან და თათრებთან, არამედ თავისი საკუთარი რესპუბლიკის სხვადასხვა ნაწილებთანაც.

ვისთვის უნდა დაეკისრებია „დემოკრატიულ“ მთავრობას ომის წარმოება, თუ არა ახალგაზრდობისათვის? ომის მთავარი ელემენტი ახალგაზრდობაა. რა გასაკვირია, შეთავსება სწავლა-განათლებისა და სამხედრო მოქმედებისა ერთ ჩარჩოში ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. ჩვენს ახალგაზრდობას არ ეცალა სწავლისათვის, იგი იძულებული იყო თავი მიენებებია გიმნაზია-უნივერსიტეტისთვის და საომრად გასულიყო.

ეს გარემოება ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად დასუსტებასაც. „დე-

1921 წ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ყველაფერი ეს ძირ-ფესვიანად შეიცვალა.

მენშევიკების ბატონობის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება არის რევოლუცია არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ეკონომიურსა და კულტურის ყველა დარგებში.

საქართველოში მენშევიზმის ბატონობის დროს არ შეცვლილა წარმოების ბურჟუაზიული ხასიათი, ის მიდიოდა ძველი მეთოდით.

პროლეტარული დემოკრატია, რა თქმა უნდა, ამას ვერ შეეგუებოდა და მან მართლაც ძირფესვიანად შესცვალა საზოგადოების ცხოვრების ძველი საფუძველი და სოციალისტურ ნიადაგზე დააყენა იგი. სწავლა-განათლების დარგშიც მან მთელი რევოლიუცია მოახდინა. მან საძირკველი ჩაუყარა ეროვნული კულტურის განვითარებას. მან მისცა ფართე გასაქანის სწავლა-განათლების საქმეს. ახლა ვიკითხოთ: როგორ იყენებს ამ მდგომარეობას ჩვენი ახალგაზრდობა? საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ახალ შექმნილმა სალმა პირობებმა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ძალა-უნებულად ჩააბა მეცნიერულ მუშაობაში, მაგრამ ეს ნაწილი ერთობ მცირეა, მოსალოდნელი კი იყო, რომ ამ ხელსაყრელი პირობებით ისარგებლებდა ჩვენი ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა. მაგრამ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავთ. შეიძლება ამ არა ნორმალური მოვლენის გასამართლებლად ეკონომიური და სხვა ასეთი პირობები მოიმიზეზონ. რა თქმა უნდა, ყოველისფერი რიგზე არ არის, მოსწავლე ახალგაზრდობას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია უმთავრესად მეტარიალურად. მაგრამ მარტო ამით თავის მართლება შეუძლებელია. ჩვენს წინა თაობას ასჯერ უფრო ცუდ პირობებში უხდებოდა სწავლა - განათლების მიღება, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას: ის ასჯერ მეტ ენერგიას იჩენდა სწავლის მიღების საქმეში, ვიდრე დღეს ჩვენ ვიჩენთ.

მეტი ენერგია. მეტი აქტივობა!!

ასეთი უნდა იყოს დღეს ახალგაზრდობის ლოზუნგი.

**კ. კობახიძე.**

# ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა განცხადება

ჩვენ ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები, რომლებიც მთელი ჩვენის ძალ-ღონით ვებრძოდით წარსულში არსებულ კომუნისტურ ხელისუფლებას, საქვეყნოდ, ყველას გასაგონად, ვგმობთ ჩვენს ასეთ მოქმედებას და აშკარათ ვაღვიარებთ , საქართველოს სინამდვილეში „მუშათა კომისიის“ გზა არის სწორი და ერთად-ერთი გზა, რომელსაც მივყვებით, როგორც ქართველი ხალხის ბედნიერების, ისე სოციალიზმისაკენ.

ყოფ. ახალგაზრდათა მარქსისტული ორგანიზაციის წევრები ფიცსა ვდებთ, რომ უფროს ამხანაგ-მუშებთან ერთად ვიქნებით მიმდინარე სოციალისტური აღმშენებლობის და კლასობრივ ბრძოლის მომენტში მთელის ჩვენი ენერგიით ვიბრძოლებთ მათ რიგებში. მენშევიკებს, რომელსაც წინათ ჩვენ თანაუგრძნობდით, ჩვენ ვთვლით მუშათა კლასის და ქართველი ერის დამღუპველად. ამიტომ ყველა სოციალისტურად მოაზროვნე ახალგაზრდას ჩვენ მოუწოდებთ გვერდში ამოუდგეს მუშათა კლასს და მის მებაირახტრე კომუნისტურ პარტიას, და მთელის თავისი ძალ-ღონით შეებრძოლოს ყოველგვარ რეაქციას.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს ძველ ამხანაგებს, რომლებიც კიდევ ვერ გარკვეულან შექმნილ პირობებში, თავი გაანებონ არალეგალურ მუშაობას და გვერდში ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას, ქართველი ხალხის და საერთაშორისო პროლეტარიატის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს!

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს!

1. ჯულელი მიშა, 2. მსხილაძე გიორგი, 3. გრიგოლია შალვა, 4. ლოსაბერიძე სერაფიონ, 5. სუპატაშვილი სიმონი, 6. ჯულელი ილია, 7. ნიკოლაიშვილი ვენერა, 8. პიჭინაძე შუშანი, 9. ჩოგოვაძე ქსენია, 10. მურღულია ვანო, 11. ლევიძე გალაქტიონ და 12. იაშვილი დავით.

## მასწავლებელის პ. შენგელიას განცხადება

საქართველოს გასაბჭოების დღიდან მე ვმუშაობდი, სოციალ - დემოკრატიულ არალეგალურ რაიონულ ორგანიზაციაში, ზუგდიდის მაზრაში, ხელმძღვანელობას ვუწევდი და ვაწვდიდი სათანადო ლიტერატურას. მიუხედავათ ხელისუფლების გაცხარებული ძებნისა, ჩვენი ორგანიზაციის არც ერთი წევრი არ ჩავარდნილა და მან მთლიანად მოაღწია 1924 წ. აგვისტოს აჯანყებამდე. აჯანყების მოწყობა ჩხორწყუს რაიონში მე მქონდა მონდობილი და ამასთანავე გამოსვლის დღეებში ვასრულებდი რაი-პარტიულ კომიტეტის თავმჯდომარეობას. აჯანყების დამარცხების შემდეგ მე გამოვცხადდი ხელისუფლების წარმომადგენელთან. გადაგვიწყვიტეს საერთოდ ჩვენს ამხანაგობას 10—12 წელი ციხე და გადმოგვზავნეს მეტეხში. აქ მოგვისწრო ოქტომბრის ამნისტიამ და გაგვანთავისუფლეს სრულიად სასჯელისაგან. იმის შემდეგ ვიმყოფები თბილისში.

სწორედ ამ დროიდან მე ვიყავი დამოუკიდებლად და არც ერთ ორგანიზაციასთან არ გამიბამს კავშირი. მე გულდასმით გადავათვალიერე მთელი ჩემი წარსული და დავრწმუნდი, რომ ჩვენი არჩეული გზა, იყო შემცდარი, რომ ის დაღუპვისაკენ მიაქანებდა ქართველ მშრომელ ხალხს და გაუწიე რა ამას ანგარიში, გადავწყვიტე, ერთხელ და სამუდამოდ დავსტოვო ის გზა და შევუერთდე ახალ გზელებს. ამიტომ მე შემოვდივარ განცხადებით თქვენთან და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი მაქვს სოციალ - დემოკრატიულ პარტიასთან 1924 წლიდან, ვდგები საბჭოთა პლატფორმაზე და ვიზიარებ მთლიანად ახალგზელების ტაქტიკას და მზადა ვარ ვითანამშრომლო მათთან.

**მასწავლებელი სპ. შენგელია.**

## ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავას განცხადება

**ამხანაგებო!**

როგორც მოგეხსენებათ მე დავტოვე სოც-დემოკრ. პარტიის რიგები 1922 წელში. ამის შესახებ ჩემი განცხადება იყო მოთავსებული გაზ. „რაბოჩაია პრავდა“-ში № 285—1924 წ. 13 დეკ.

ამ დღიდან მე პოლიტიკურ საქმიანობას საერთოდ თავს ვანებებ და ვეწევი შეუწყვეტლად დაუღალავ შრომას ჩემს სპეციალურ დარგში (სტატისტიკაში).

ვგრძნობ, რომ პოლიტიკის გარეშე დგომა და პოლიტიკურ ბრძოლაში მხოლოდ მაყურებლის როლში ყოფნა კიდევ უკვე აღარ შემიძლია; მარტო კულტურულ-ეკონომიურ დარგში მუშაობა და მით ხელის შეწყობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საკმარისად არ მიმაჩნია ჩემთვის.

ამიტომ გთხოვთ ჩამთვალოთ თქვენს რიგებში აქტიურ წევრათ და საჭიროების დროს გამომიყენოთ ი[illegible] რისი შემძლეც მე ვიქნები.

ამხანაგური სალამით ვლადიმერ

# წერილები პროვინციიდან

## ახალი საგარაკო—„ტყე-კვალა"

(გურია)

საქართველო ბუნებრივ სიმდიდრეთა უშრეტი წყაროა. ბუნებას მასზედ თავისი მადლიანი კალთა მთელის სიუხვით დაუბერტყია.

შეგვიძლია ვსთქვათ—მას ჩვენთვის არაფერი მოუკლია და ბუნებრივ სიმდიდრეთი ყელამდე აუვსივართ.

მთელ დედა-მიწის ზურგზედ—დიოგენის ფარნით საძებარია სხვა კუთხე, საცა ამოდენა სიმდიდრე ასეთი სიუხვით იყოს დაგროვილი.

რა გვაკლია ჩვენ? არაფერი (ბუნებრივი)—გარდა ტეხნიკისა და კულტურისა. ჩვენ ყველაფერი გვაქვს რაც კი საჭიროა ხალხისა და ქვეყნის ნივთიერ წარმტებისათვის. — ქვა-ნახშირი, შავი-ქვა, ათას-გვარი მადნეულობა, სამკურნალო-მინერალური წყლები, ყოველივე ამაებით უხვად დაჯილდოებულია საქართველოს მიწა-წყალი. მისი ყოველი კუთხე.

იგი „თავისად"—ბუნების ხელით მონაძლევი. მისი ბარაქიანი მკერდის ლალი შვილია.

მასში ჩვენი, საკუთარი წვლილი არ გვიძევს. აქ ჩვენი შემომქმედი ხელი ნაკლებ სჩანს.

ჩვენ ხშრად მოცემულ სიმდიდრის მოხმარებაშიც კი ვსცოდავთ და მითი ჯეროვნად ვერ გვისარგებლნია,—ასე იყო დღემდე..

მინდა მხოლოდ გურიის მაგალითებზედ შევჩერდე.

უამრავი სიმდიდრეა აქ შეუმჩნევი, ხელ-უხლები და მოუხმარელი.

რამდენი ხე-ტყის მასალა, რამდენი სხვადასხვა ჯიშის მადნეულობა თუ სხვა სიმდიდრენია დღემდე მოუხმარი უსახსრობისა თუ ტეხნიკურ ჩამორჩენილობის წყალობით.

—

ავიღოთ თუნდა საგარაკო ადგილები, ასეთები აქ მრავლადაა, როგორც ჩრდილოეთ-დასავლეთით (სურებისა თუ შავი-ზღვის გასწვრივ), ასევე სამხრეთის მხრივ. მაგრამ მათ არავინ იცნობს, არავინ სარგებლობს; რომელსაც ვიცნობთ და რომლითაც ვსარგებლობთ, იგიც არაა ჯეროვნად გამოყენებული.

ავიღოთ თუნდა ცნობილი აგარაკი **ბახმარო** და **გომის მთა,** რომელნიც უგზოობისა თუ უბინაობისა წყალობით ნაკლებ მოხმარებულია და ნასარგებლი.

ამიტომ სრულიადაც გასაკვირი არ უნდა გვეჩვენოს, როცა 1925 წ. აგვისტოში „**გომის მთის**" მახლობლად „აღმოჩენილ" იქნა—სპეციალისტების შემოწმებით—მეტად იშვიათი საგარაკო პუნქტი „**ტყე-კვალა**";

ვინ იფიქრებდა, რომ აგ. „გომის მთიდან" სულ რაღაც 3—4-ოდ ვერსის მანძილზედ ასეთ ადგილს ჰპოებდნენ, რომელიც საქმის სპეციალისტთა გამორკვევით, სპეციფიურ კურორტულ ღირსების მხრივ **ბახმაროს** არაფრით ჩამოუვარდება. ეს ადგილი 1925 წ. დაათვალიერა კომისიამ—**ფილიპე მახარაძის,** პროფ. **მოსეშვილის, ხიმშიაშვილის** და სხვათა შემადგენლობით, რომელთაც—„ტყე-კვალას" მეორე ბახმარო უწოდეს.

საერთო გეო-კლიმატურ პირობების მხრივ, იგი პირდაპირ **ბახმაროს** ნაჭერია, მისი ორგანიული ნაკვეთი; ბახმაროსავებრ იგი 3-მხრით გარშემორტყმულია მაღლობებით და მხოლოდ ერთის მხრით—(ზღვისაკენ) ღია და გაშლილი. იგი—„გომის მთიდან" სამხერთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ბახმაროსავე მსგავსად დაბლობია. მისი მოედანი 7—10 კვად. დესეტინის მანძილზედ გაშლილი—კარგად შეკრულ, ფიჭვ-ნაძვნარ-სოჭის უვალი ტყითაა დაბურული, რომელიც სხვათა შორის ძვირფასს საამშენებლო მასალასაც წარმოადგენს.

მთელი ეს მოედანი უხვად არის დაჯილდოებული ცივი წყაროებით, რაიც კიდევ უფრო ამაღლებს მის კურორტულ ღირსებას.

თან შუა ჩამოუვლის გიჟმაჟი მდინარე „ჟუჟი",—ეს გურიის არაგვი—კალმახებით სავსე,—რომელიც იქვე იღებს სათავეს.

აგრაკის მორიგი ძვირფასი თვისებაა ის, რომ იგი შეკრულია და ყოველმხრივ დაცული, როგორც ქარის, ისევე ნისლისაგან, რაშიაც ასე სცოდავს **გომის მთა** და ნაწილობრივ **ბახმაროც.**

ერთი სიტყვით ყოველივე და ყველაფერი აქ ისეთ ფართე პერსპექტივებს შლის, რომ თუ იგი შესაფერად მოეწყო მთელი რესპუბლიკის მაშტაბით პოპულიარული გახდება.

მისი ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მას უდგება ფრიად ხელსაყრელი და სარფიანი გზის ახალი ვარიანტი „შაფაქურიდან" მდ. ჟუჟის გასწვრივ. აქ შესაძლოა საუკეთესო **საურმე გზა** გაიმართოს და ეს არც ისე ძვირი დაჯდება;

სამწუხაროთ ამ საქმემ მიიძინა; საჭიროა მისი „მკვდარ წერტილიდან" დაძვრა... ხალხი მზადაა ხელი მიჰყოს სახლების შენებას.. საჭიროა ამ საქმეს მიმდინარე ზაფხულიდანვე ჩაეყაროს საძირკველი. ეს იქნება უდიდესი. სახალხო საქმე გურიის მშრომელი გლეხობისათვის.

მასწავლებელი **კარ. დონაძე.**

---

**ქ. ფოთის** (საკუთარი კორესპონდენტისაგან) რკინის გზის ლიანდაგის მოძრაობის წევის დარგის ფოთის სადგურის გადამტვირთველ მუშა-მოსამსახურეებისა და ყოფილ მენშევიკების კრება შესდგა რკინის-გზის კლუბში მაისის 7.

მოხსენება გააკეთა ამხ. ის. ლომთათიძემ, მან დაახასიათა მენშევიკური პარტიის როლი დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში, ქართვ. ემიგრაციის ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა კომპარტიის წინააღმდეგ და ბოლოს დასკვნა: მენშევიკური პარტიის 5-6 წლის მთელი მოღვაწეობა მიმართულია ქართ. ერის და მუშების წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა ჩვენ გვავლებს სერიოზულად დაფიქრებს, ამ სამწუხარო სინამდვილის პირდაპირ და აშკარად თვალებში შეხედვას. ჩვენი ვალია ამ საბედისწერო მომენტში აშკარად და გაბედულად ამოუდგა გვერდში კომუნისტურ პარტიას, რითაც ჩვენ ვაგრძნობინებთ მენშევიკურ პარტიას, რომ ჩვენ მთელის ჩვენი ძალღონით ვებრძვით მას და ვემსახურებით კომუნისტური პარტიის იდეებს. კამათში მრავალი ორატორი იღებდა მონაწილეობას. ყველა აღნიშნავდა მენშევიკური პარტიის ყოფილი ბელადების ავანტიურისტული პოლიტიკის მავნებლობას ქართველი ხალხისათვის. მიღებული იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

**დამსწრე.**

---

**სარედაქციო კოლეგია.**

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.